საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუნი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკარტისიბაგზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 31 იანვარი. 2024 წ. №12 (9692) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

შარშანდელი გაისზე

ეკლიანი გზების გადალახვა და დასახულ მიზანთან უდანაკარგოდ მისვლა ბიძინა ივანიშვილის სტილია!

4-5

ქართული ოპოზიცია ასრულებს ომის წამომწყებთა დავალებას. ომი ხომ ფულია, წარმოუდგენლად დიდი ფული. სწორედ ფულის ზვინების ეს სიკაშკაშე აბრმავებს ომისკენ მომწოდებლებს.

პარლამენტი საქართველოს მთავრობის ახალ შემადგენლობას მომავალ კვირაში დაამტკიცებს

ჩვენი მიზანია, მომავალ კვირას დავამტკიცოთ მთავრობის შემადგენლობა, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა განაცხადა.

„განხილვა რამდენიმე დღეზე გადანაწილდება. ჩვენი მიზანია, მომავალ კვირას დავამტკიცოთ მთავრობის შემადგენლობა. სალომე ზურაბიშვილის გამოსვლაც იქნება, რადგან, რეგლამენტით, საგაზაფხულო სესიის პირველ დღეს არის მისი მიმართვა. ყველა ეს პროცესი მომავალ კვირაში დასრულდება. ჩემს ყოველწლიურ ანგარიშს თებერვლის მომავალ სასესიო კვირაში წარვადგენ“.

მისივე თქმით, მომავალ კვირაში გაიმართება ბიუროს სხდომა, სადაც მთავრობის მოსმენის გრაფიკი დამტკიცდება, შემდეგ რამდენიმე დღე კომიტეტებში იქნება განხილვა, შემდეგ – ოპოზიციასთან და ბოლოს საკითხი პლენარულ სხდომაზე გავა. „გეგმაა, რომ მთავრობა მომავალ სასესიო კვირაში დამტკიცდეს“!

ვიქტორ ორბანი:

მშვიდობას აქვს სახელი და მას დონალდ ტრამპი ჰქვია!

უნგრეთის პრემიერ-მინისტრი **ვიქტორ ორბანი** მიიჩნევს, რომ დონალდ ტრამპი საერთაშორისო არენაზე ყველაზე წარმატებული პოლიტიკოსია.

„მას არ დაუწყია არც ერთი ომი. აბრაამის შეთანხმება იყო ერთადერთი სერიოზული შანსი ახლო აღმოსავლეთის რთულ რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად“...

უნგრეთის პრემიერ-მინისტრის თქმით, 2022 წლის თებერვალში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი რომ ყოფილიყო, ევროპაში ომი არ იქნებოდა. „დღეს მე ვერ ვხედავ სხვა ლიდერს ევროპაში ან ამერიკაში, რომელიც საკმარისად ძლიერია ომის შესაჩერებლად. მშვიდობას აქვს სახელი და მას დონალდ ტრამპი ჰქვია“!

TAV Georgia

ქვეყნის იმიჯის საწინააღმდეგო საბოტაჟი:

იხ. 6 გვ.

მგზავრები თბილისის აეროპორტში არსებულ სამარცხვინო ვითარებაზე მიუთითებენ

„ტავ-ჯორჯია“ ძალიან ცუდად მართავს თბილისის აეროპორტს!

პაატა ნაცვლიშვილი:



8-9

უტაიმო აუტისა!

აფხაზური „შავი კვირის“ მიზეზები:

დანაშაულებრივი დაუდევრობა, თუ გამიზნული ქმედება 9 ქურდობის მისაჩქმალად?

TIME

ზელენსკი მზად არის, უფრო აგრესიულად შეუტიოს რუსეთს!

ზელენსკი დიდ რისკზე მიდის იმისთვის, რომ ომის მსვლელობაში გარდატეხა შეიტანოს და ქვეყნის შიგნით პოლიტიკური პოზიციები შეინარჩუნოს – ამერიკული გამოცემა Time ანალიტიკურ სტატიაში წერს, რომ ზელენსკი მზად არის ვითარების ესკალაციისთვის, უფრო აგრესიულად შეუტიოს რუსეთს, მიიტანოს იერიშები რუსეთის ტერიტორიასა და ოკუპირებულ ყირიმზე, დაარტყას რუსეთის ნავთობისა და მარცვლეულის ობიექტებს შავ ზღვაში, მოაწყოს თავდასხმები რუს პოლიტიკოსებზე.

ანალიტიკოსი იან ბრემერი თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ ყოველი ასეთი თავდასხმა პუტინის შურისძიების რისკს ზრდის და ომში ნატოს უშუალო ჩართვას არ გამორიცხავს. Time-ი წერს, რომ რუსეთს და ნატოს ომის გაფართოება არ სურთ, თუმცა ზელენსკის არაპროგნოზირებადი ქმედებები ესკალაციის რისკს ზრდის.

გადადიან, გადმოდიან!

„ოცნება“ რჩება!

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის 29 იანვრის განცხადება

ძვირფასო მეგობრებო, მსურს საზოგადოებას ვაცნობო გადაწყვეტილების შესახებ, რომელზეც გუნდთან ერთად ვიმსჯელეთ. დღეს მე ვტოვებ პრემიერ-მინისტრის თანამდებობას.

ნება მომეცით მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ განვმარტო ამ გადაწყვეტილების მიზეზები. სულ ახლახან, გასული წლის ბოლოს, მე საზოგადოებას ჩავაბარე ვრცელი ანგარიში ჩემი სამწლიანი საქმიანობის შესახებ. მოგეხსენებათ, მთავრობის მეთაურის პოზიციაზე მეორე ვადით მუშაობა ურთულეს პერიოდში, შიდა თუ საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური კრიზისების პირობებში დავიწყე. მე პირნათლად ვემსახურე ჩვენს ქვეყანას, უკომპრომისოდ ვიცავდი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს და მე ვამაყობ შედეგებით, რომლებსაც ამ პერიოდში გუნდთან ერთად მივაღწიეთ. „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში მე ორჯერ მომიწია ამ უმაღლეს თანამდებობაზე მუშაობა, ჯამში ყველაზე მეტ ხანს — 5 წელი ვიყავი პრემიერ-მინისტრი. ჩვენი პოლიტიკური გუნდის სიძლიერის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი არის შიდა დემოკრატია, რომლის ყველაზე მკაფიო გამოვლინება გახლავთ როტაციის პრინციპი — გუნდში მრავალი წარმატებული ლიდერია და საჭიროა, სხვებსაც მიეცეთ შესაძლებლობა; მით უმეტეს, რომ ახლა ახალი ამოცანების წინაშე ვდგავართ — შემოდგომაზე ახალ პარლამენტს ავირჩევთ და „ქართული ოცნება“ უნდა მოემზადოს არჩევნების დამაჯერებლად მოსაგებად, რათა გავაგრძელოთ წინსვლა სხვა, უფრო დიდი მიზნების მისაღწევად.

ამ პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, პოლიტსაბჭოსგან მივიღე შეთავაზება, დავიკავო პარტიის თავმჯდომარის თანამდებობა და ამასთან დაკავშირებით ყრილობა გაიმართება 1 თებერვალს. არ დაგიმალავთ, რომ პოლიტსაბჭოში განვიხილეთ შესაძლებლობაც, რომ თანამდებობაზე ზაფხულში, საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე, დავრჩენილიყავი, თუმცა ვარჩიე, ახლა მიმეღო ეს გადაწყვეტილება — მნიშვნელოვანია, რომ შემდეგმა პრემიერმა დროულად წარადგინოს თავისი გუნდი და ჩამოაყალიბოს ახალი მთავრობა. მე წარმატებებს ვუსურვებ ახალ პრემიერ-მინისტრს!

ჩემთვის კი დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, გავაგრძელო მუშაობა პარტიაში, აქტიური მონაწილეობა მივიღო საარჩევნო პროცესში და, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის განვითარებაში.

პრემიერ-მინისტრად მუშაობისას გაწეული უდიდესი მხარდაჭერისათვის მადლობას ვუხდი ჩვენი პარტიის დამფუძნებელს და საპატიო თავმჯდომარეს — ბატონ ბიძინა ივანიშვილს, პარტიისა და პარლამენტის ხელმძღვანელობას და წევრებს, სამინისტროების ხელმძღვანელებს და თითოეულ თანამშრომელს, მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომლებს, ყველა საჯარო მოხელეს!

თანადგომისათვის განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეუღლეს, შვილებს, მშობლებს. იმედი მაქვს, ახლა მექნება შესაძლებლობა მეტი დრო დავუთმო ოჯახს.

მშვიდობას, კეთილდღეობასა და გაერთიანებას ვუსურვებ ჩვენს სამშობლოს!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

ნარიყალას რეაბილიტაცია 13.1 მლნ დაჯდება

ნარიყალას ციხის რეაბილიტაცია 13.1 მლნ დაჯდება. შესაბამისი ტენდერი მერიამ უკვე გამოაცხადა. ტენდერი 11 თებერვლიდან 16 თებერვლამდე გაგრძელდება.

შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ჯამში სამუშაოები 13 162 286 ლარი დაჯდება. რეაბილიტაციის პროცესი 2 წელს გაგრძელდება და 2025 წლის ბოლოს დასრულდება. შეგახსენებთ, აღნიშნული სამუშაოების პროექტისთვის, 2020 წლის ბიუჯეტიდან 123 375 ლარი დაიხარჯა.

2026-2028 წლებში დასამთავრებელ პროექტებში ბინების ნახევარი თითქმის გაყიდულია!

GALT & TAGGART-მა თბილისის საცხოვრებელი ბინების სექტორი 2024 წლის იანვარში თბილისის 13 სისტემური დეველოპერის გამოკითხვის საფუძველზე მიმოიხილა, რაც 68 მიმდინარე სამშენებლო პროექტს მოიცავდა. საინვესტიციო ბანკში აღნიშნავენ, რომ მიღებული შედეგების მიხედვით, 2023 წელს ბინების გაყიდვები დეველოპერების მიერ წლიურად 4.2%-ით გაიზარდა, რაც თბილისის უძრავი ქონების ბაზარზე მდგრად მოთხოვნას უსვამს ხაზს.

„2023 წლის მე-4 კვარტალში გაყიდვებმა წინა სამი კვარტლის გაყიდვების საშუალო მაჩვენებელს 21.9%-ით გადააჭარბა. ასევე აღსანიშნავია, რომ 2023 წელს დასრულებული პროექტებიდან თითქმის ყველა ბინა უკვე გაყიდულია, ხოლო პროექტებში რომელებიც 2026-28 წლებში სრულდება მთლიანი ბინების თითქმის ნახევარია გაყიდული“.

კომპანიების გამოკითხვის შედეგად ასევე გაირკვა, რომ 2023 წელს ბინების ფასების ზრდის დინამიკა შენარჩუნდა.

„პირველად ბაზარზე ბინის ფასის წლიური ზრდის ტემპი მეორად ბაზარზე ფასის ზრდას (+21.3% და +10.0% წ/წ, შესაბამისად) ორჯერ აღემატებოდა. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის დასაწყისიდან დღემდე ფასები კიდევ უფრო მკვეთრად არის გაზრდილი. კერძოდ, პირველადი ბაზრის ფასები 45.2%-ით გაიზარდა, რაც ასევე მეორად ბაზარზე დაფიქსირებულ ზრდას (+30.7% ახალი და +17.5% ძველი ბინებისთვის) აღემატება“, – განმარტავენ Galt & Taggart-ში.

2023 წელს თბილისში 255 სამშენებლო ნებართვა გაიცა 1.9 მლნ მ2-ის ჯამურ საცხოვრებელ ფართობზე (+34.1% წ/წ). ამასთან, ნებართვების განსაკუთრებით დიდი ზრდა დადასტურდა საბურთალოს, ისნისა და დიდუბის რაიონებში (+153.0%, +167.5% და +344.1% წ/წ, შესაბამისად).

კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველო რეგიონის ლიდერია

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ კორუფციის აღქმის ინდექსის ახალ ანგარიშს აქვეყნებს.

საქართველო 2023 წლის ანგარიშში 53 ქულით 49-ე ადგილს იკავებს და რეიტინგში ასწრებს ევროკავშირის წევრ ექვს ქვეყანას: მალტას, ხორვატიას, საბერძნეთს, რუმინეთს, ბულგარეთსა და უნგრეთს.

საქართველოს კარგი მაჩვენებელი აქვს ევროკავშირის წევრობის ყველა კანდიდატი ქვეყნების მონაცემებთან შედარებითაც. კერძოდ, საქართველოს უკეთესი მაჩვენებლები აქვს, ვიდრე მონტენეგროს, მოლდოვას, ჩრდილოეთ მაკედონიას, სერბეთს, უკრაინას, ბოსნიას, თურქეთსა და ალბანეთს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ კორუფციის აღქმის ინდექსს ყოველწლიურად აქვეყნებს. 2022 წელს საქართველოს ქულა, ამ ინდექსის მიხედვით, 56 იყო და 41-ე ადგილს იკავებდა.

2023 წელს საქართველოში ტურისტული ვიზიტები 27.8 პროცენტით გაიზარდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურდა საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების 7.1 მილიონი შემოსვლა, რაც 30.3 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საქსტატის ცნობით, შემოსვლების უდიდესი ნაწილი, 45.5 პროცენტი, განხორციელდა 31-50 წლის მოგზაურების მიერ. აღნიშნული რაოდენობიდან საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 6.2 მილიონი შეადგინა, რაც 31.2 პროცენტით მეტია 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ამასთან, უწყების ინფორმაციით, 2023 წელს საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 5.1 მილიონს მიაღწია, რაც 30.9 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელდა 4.7 მილიონი ტურისტული ტიპის ვიზიტი, რაც 27.8 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საერთაშორისო ვიზიტორების 75.2 პროცენტი მხოლოდ ტურისტები იყვნენ, მხოლოდ ექსკურსანტების წილმა 20.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო ვიზიტორების 3.9 პროცენტი იყო როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი.

ოფიციალური სტატისტიკით, 2023 წელს ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა, 1.2 მილიონი, დაფიქსირდა რუსეთის ფედერაციიდან, რაც ვიზიტორების ჯამური რაოდენობის 23.2 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზეა თურქეთი 21.4%-იანი წილით, ხოლო მესამეზე – სომხეთი 13.5%-იანი წილით.

ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲠᲥᲕᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲒᲝᲜᲐᲓ!

ᲕᲘᲜ ᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲐᲓ

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲢᲔᲠᲛᲘᲜ „ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ, ᲘᲡᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘᲪ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2024 წლის მონაცემებით, საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის სახელწოდებით დარეგისტრირებულია ათზე მეტი იურიდიული პირი. ამ შემთხვევაში კი ტერმინი „აკადემია“ გამოიყენება იმ ადამიანთა ერთობის გამოსახატავად, რომლებიც შესაბამისი მეცნიერებათა აკადემიის წევრები არიან. ზოგიერთ აკადემიას აქვს ორი (აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტი), ზოგსაც მხოლოდ ერთი (აკადემიკოსი) საფეხური. აკადემიკოსად მოიხსენიება მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი საფეხურის წევრი.

„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია არის უძველესი ქართული აკადემიების – **გელათისა და იყალთოს აკადემიების მემკვიდრე, სახელმწიფოს მაღალი დონის ინტელექტუალური განვითარების ატრიბუტი, საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩეველი, საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო მიღწევებისა და მაღალი სამეცნიერო და სამოქალაქო ავტორიტეტის მქონე პირთა გაერთიანება“.**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ამ სტატუსიდან გამომდინარე, ზემოხსენებული კანონის მე-2 თავის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტში საგანგებოდაა მითითებული – **„დაუშვებელია, საქართველოში სხვა რომელიმე აკადემიის წევრი იწოდებოდეს აკადემიკოსად ან წევრ-კორესპონდენტად, ან აკადემიის წევრად, კონკრეტული აკადემიის სრული სახელწოდების მითითების გარეშე, გარდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრისა“**. ეს შეზღუდვა ვრცელდება არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ რეგისტრირებული სამეცნიერო აკადემიების წევრებზეც.

სამწუხაროდ, ქართულ მედიაში კანონის ეს მოთხოვნა ხშირად ირღვევა, რაც ამ შეცდომის აღმოსაფხვრელად სათანადო რეაგირებას მოითხოვს.

დავემორჩილოთ კანონს, ძვირფასო თვითმარქვია აკადემიკოსებო!

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ:

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲘᲧᲝ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲝᲛᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲝᲓᲐ

2020 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲙᲝᲠᲓᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ, (ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ) ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ. ᲛᲘᲖᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲘᲒᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲐ, – ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ** „ᲘᲛᲔᲓᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ. „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ ᲓᲐ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲛᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦ�წᲔᲕᲐᲓ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲛᲐᲜᲘᲞᲣᲚᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲧᲐᲚᲛᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲘ ᲮᲛᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ.

„ᲒᲐᲠᲔᲓᲐᲜᲐᲪ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲡᲝᲚᲘᲓᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲔᲡ ᲐᲛ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲔᲑᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲓᲐᲗᲛᲝᲛᲔᲑᲖᲔ ᲬᲐᲕᲔᲓᲘᲗ. ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲕᲐᲬᲔᲠᲔᲗ 9 Ა�პᲠᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ 43%-ᲘᲐᲜ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲑᲐᲠᲘᲔᲠᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲥᲐᲪ ᲛᲝᲕᲐᲮᲔᲠᲮᲔᲗ ᲐᲛ ᲑᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲮᲕᲐ“, – ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ. ᲛᲐᲜ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲖᲔ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ.

„ᲘᲛ ᲓᲠᲝᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲘᲧᲝ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲝᲛᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲔ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲓᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲦᲘᲐᲓ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲘᲛ ᲓᲠᲝᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲛᲖᲬᲘᲤᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲖᲠᲘ ᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲝᲛᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ. ᲐᲛ ᲙᲝᲜᲢᲔᲥᲡᲢᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ. ᲛᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲔᲒᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲜᲔᲜ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲜ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲒᲝᲛᲔᲑᲖᲔ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲥᲛᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ“, – ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ.

ᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ!

ᲤᲝᲜᲓᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣ“ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ 35 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲐ!

ᲤᲝᲜᲓᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣ“ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐᲕᲡ ᲠᲝᲛ:

„ᲒᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲪᲕᲐ ᲕᲜᲔᲒᲐᲗᲐᲔᲚᲕᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚ – „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ“ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ.

ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲛᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲒᲒᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲮᲡᲔᲜᲐ ᲤᲝᲜᲓᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣ“, ᲕᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲗ ᲠᲐ ᲐᲛ ᲗᲔᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲡ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲓ ᲕᲗᲕᲚᲘᲗ ᲐᲮᲡᲜᲐ-ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ.

ᲤᲝᲜᲓᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲡ“ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ �გᲔ�გᲛᲐᲕᲓᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲫᲘᲠᲔᲣᲚᲡ �გᲐᲓᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐᲡ. 2007 ᲬᲔᲚᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲙᲕᲔᲗᲘᲗ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲘᲜᲟᲘᲜᲠᲝ-ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲣᲚᲛᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲛ – AQUP ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲛᲣᲨᲐᲕᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲤᲪᲘᲐ. ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲫᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ, ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲠᲢᲘᲖᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲛᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲔᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘ, ᲛᲐᲡ ᲨᲔᲔᲪᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ – ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲐ�გᲘᲔᲠ ᲘᲥ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲨᲘᲓᲐ ᲔᲖᲝᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲐᲦᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲤᲐᲠᲗᲘᲗ 56.000 �კ�ვ. ᲛᲔᲢᲠᲘ. ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲢᲐᲪᲘᲝᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ 772 ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ.

ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲮᲐᲠᲑᲘᲔᲚᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲔᲤᲔᲥᲢᲔᲑᲘ. ᲫᲕᲔᲚ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲐᲦᲛᲝᲤᲮᲕᲠᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲮᲔᲠᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲫᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲗᲕᲘᲡᲝᲛᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲡ. ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲕᲔᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲨᲐᲚᲐ 2007 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲛᲐ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გᲐᲪ ᲤᲝᲜᲓᲛᲐ ᲫᲘᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲐ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲐᲥᲕᲔ ᲐᲦᲕᲜᲘᲨᲜᲐᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲤᲝᲜᲓᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲡ“ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲝᲘᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲐ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ.

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ, ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲘᲑᲣᲪᲘᲐᲛ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲓ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ 35 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ. ᲐᲛ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲨᲔᲜᲔᲑᲐ, ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ – ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘ, ᲓᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲚ ᲘᲧᲜᲐ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ Ა�პᲐᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲔᲯᲘ“, – ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲤᲝᲜᲓᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲡ“ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ.

ბრძენები ამბობენ, ყველაზე კარგი ის წელიწადია, როცა ახალი ბევრი არაფერი ხდება – ძველებურად ვშრომობთ, ძველებურად ვხალისობთ, ძველებურად გვიყვარს... არჩევნების შედეგები და უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა ვინაობაც კი დიდად არ გვაინტერესებს.

რადგან ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, სიახლეები რომ თავზე გვაყრია, მოდი, შარშანდელი მოვლენები გავიხსენოთ და მათი დამახსოვრებაც ვცადოთ – ვინძლო გაისმა ახალი და უცნაური არაფერი მოგვიტანოს.

მთელი შარშანდელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა შარშანწინ თებერვალში დაწყებული რუსეთ-უკრაინის ომი. უკვე მრავალჯერ ითქვა, რომ ორ სლავურ სახელმწიფოს შორის წამოწყებული ეს ძმათამკვლელი დაპირისპირება მომაკვდინებელ საფრთხეს უქმნის მთლიანად კაცობრიობის არსებობას და საქართველო გამონაკლისი ვერ იქნება. შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ თვით უკრაინის, ზოგიერთი „მეგობარი“ ევროპული ქვეყნისა და უმამაცესი ქართული ოპოზიციის მონდომების მიუხედავად, 2023 წელს საქართველოს ხელისუფლებამ ღარიბაშვილის მეთაურობით ბეწვის ხიდზე გაიარა, ამ ომისთვის თავის არიდება და ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნება მოახერხა.

თითქოს უცნაურია, რატომ უნდა ცდილობდეს ქართული ოპოზიციური სპექტრი საქართველოს ჩართვას სლავურ დაპირისპირებაში. ხომ ყველამ შესანიშნავად იცის, რომ, ღმერთმა დაიფაროს და, თუ ასე მოხდა, საქართველოს მსოფლიო რუკიდან გაქრობა გარანტირებულია – არა აქვს მნიშვნელობა, რუსეთი გაიმარჯვებს თუ უკრაინა. გონებაშეზღუდულობა, მოძმე უკრაინის სიყვარული ან ლაჩრის გამბედაობა აქ არაფერ შუაშია – **ქართული ოპოზიცია ასრულებს ომის წამომწყებთა დავალებას. ომი ხომ ფულია, წარმოუდგენლად დიდი ფული. სწორედ ფულის ზვინების ეს სიკაშკაშე აბრმავებს ომისკენ მომწოდებლებს.**

ამის კიდევ ერთი მაგალითია ახლო აღმოსავლეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები – არაბული სამყაროს კიდევ ერთი (უკვე მერამდენე 1947 წლის შემდეგ!) სისხლიანი დაპირისპირება ისრაელის წინააღმდეგ. ახალი ომის ინიციატორი ამჯერად პალესტინის შეუმდგარი სახელმწიფოს ღაზას სექტორში, მიწისქვეშა სამალავებიდან მოულოდნელად გამოჩენილი დაუნდობელი ბანდიტური ორგანიზაცია ჰამასი აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, იგი ზოგიერთი ისლამური სახელმწიფოს მხარში დგომით, ისრაელზე თავდასხმისთვის მრავალი წლის განმავლობაში ემზადებოდა. გასაკვირია, მაგრამ ისრაელისთვის ეს თავდასხმა მოულოდნელი აღმოჩნდა. მოულოდნელი, მაგრამ არა მოუგერიებელი. სამხედრო თვალსაზრისით მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა ქვეყანამ ისრაელმა ძალიან სწრაფად მოახერხა აგრესიის განეიტრალება და მაშინვე თავად გადავიდა შეტევაზე – ღაზას სექტორში შეიჭრა და მიწისქვეშა სამალავებში განლაგებული ბანდიტური არაბული სამხედრო შენაერთების განადგურება დაიწყო.

ეკლიანი გზების გადალახვა და დასახულ მიზანთან უდანაკარგოდ მისვლა ბიძინა ივანიშვილის სტიქიაა!



ქართული ოპოზიცია ასრულებს ომის წამომწყებთა დავალებას. ომი ხომ ფულია, წარმოუდგენლად დიდი ფული. სწორედ ფულის ზვინების ეს სიკაშკაშე აბრმავებს ომისკენ მომწოდებლებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან მალე ომში პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩაერთო ზოგიერთი არაბული ქვეყანა (იემენი, ლიბანი, სირია, საუდის არაბეთი...), ირანი, რუსეთი და თვით ამერიკის შეერთებული შტატებიც კი – ზოგი უშუალოდ მონაწილეობს, ზოგი მეომარ მხარეებს იარაღით ამარაგებს, ზოგი სიტყვიერი თანადგომით, ან ომის დაუყოვნებელი შეწყვეტის მოწოდებებით შემოიფარგლება.

ახლო აღმოსავლეთში გაჩაღებული ეს ომიც მომაკვდინებელი საფრთხეა კაცობრიობისთვის. სავარაუდოდ, მისი ინიციატორიც, მსოფლიო ომების პარტიაა. სწორედ ის, ყველგან რომ არის, ყველაფერს აკონტროლებს და არსად ჩანს – ომი ხომ ფულია, წარმოუდგენლად დიდი ფული.

გასულ წელს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ სომხეთ-აზერბაიჯანის მორიგი სამხედრო დაპირისპირება – ყარაბაღის ომი. აზერბაიჯანი რომ ეკონომიკურად, ტერიტორიულად და სამხედრო თვალსაზრისით სომხეთზე ბევრად აღმატებული ქვეყანაა, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. და მაინც, თავის დროზე სომხეთმა მას ეთნიკური სომხებით დასახლებული მთიანი ყარაბაღის ოლქი წაართვა და მიიერთა. იმედია, ახალს არაფერს ვამბობ – უზარმაზარი ისლამური (სუნიტური) თურქეთისა და ასევე უზარმაზარი, აგრესიული ისლამური (შიიტური) ირანის კარის მეზობელმა პატარა ქრისტიანულმა (გრიგორიანული) სომხეთმა თითქმის უპრობლემოდ დაამარცხა ყველა თვალსაზრისით მასზე ბევრად ძლიერი ისლამური ქვეყანა აზერბაიჯანი!

სომხეთისადმი ჩვენი პატივისცემის მიუხედავად უნდა ვაღიაროთ, რომ ეს იყო არა სომხეთის, არამედ რუსეთის გამარჯვება, უფრო ზუსტად, რუსეთის შურისძიება რეალური დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ აზერბაიჯანზე.

რამდენიმეწლიანი დაუღალავი მცდელობის შედეგად, აზერბაიჯანმა რუსეთთან საერთო ენის გამონახვა და ერთი შეხედვით უიმედოდ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება შეძლო. სწორედ ეს არის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი – რუსეთის ძალისხმევით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება საქართველოს შეუძლია მხოლოდ რუსეთთან საერთო ენის გამონახვით, მასთან მშვიდობიანი მოლაპარაკებით და არა მუშტების ქნევით და რუსეთის მიწის პირისაგან აღგვაზე ოცნებით.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მოზომილი საგარეო პოლიტიკა გვაფიქრებინებს, რომ მოვლენები მომავალში სწორედ ასე განვითარდება.

დასავიწყებლად არ ღირს 8-9 მარტს თბილისის ცენტრში განვითარებული მოვლენები – რადიკალური ოპოზიციის ისტერიული დემაგოგიით გაბრუებული ახალგაზრდების ჯგუფი ცოცხლად, დასაწვავად იმეტებს სამართალდამცველებს; ამსხვრევს და ცეცხლს უკიდებს პოლიციის ავტომობილებს; სახელმწიფო გადატრიალების მიზნით, მთავრობის სასახლეში შეჭრას ცდილობს. მოგვიანებით კი ამ უმსგავსობის ერთ-ერთი შემოქმედის, საეჭვო წარსულის მქონე ვინმე ლაზარე გრიგორიადისის ეროვნული გმირის მანტიით შემოსვას ლამობს.

საბოლოოდ ირკვევა, რომ მმართველი პარტიის მიერ პარლამენტში განსახილველად შეტანილი არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური კონტროლისთვის აუცილებელი რუსულად მონათლული კანონი (ოპოზიციის აგრესიული გამოსვლების საბაბად რომ იქცა), თურმე, სინამდვილეში, ამერიკულიდან გადმოწერილი ყოფილა; მოპროტესტეებს წარმოდგენა არ ჰქონდათ მის შინაარსსა და მნიშვნელობაზე; ნაცოპოზიციამ ჯერ იოლად აცდუნა და მერე გულგრილად გაწირა გულუბრყვილო ახალგაზრდების ჯგუფი.

ალბათ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებამ სძლია ცდუნებას და ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების გამწვავების თავიდან ასაცილებლად, პარლამენტში განსახილველად შეტანილი რუსულად მონათლული ამერიკულის ანალოგი კანონი (ე.წ. „ფარა“) დროებით უკან გაიწვია.

რადიკალური ოპოზიციის ისტერიული დემაგოგიით გაბრუებული ახალგაზრდების ჯგუფი ცოცხლად დასაწვავად იმეტებს სამართალდამცველებს; ამსხვრევს და ცეცხლს უკიდებს პოლიციის ავტომობილებს

* * *

სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიაში ალბათ სამუდამოდ აღიბეჭდება 2023 წლის 3 აგვისტოს ტრაგედია – ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 1400 მეტრის სიმაღლეზე, მდინარე ჭანჭახის ხეობაში მოულოდნელად ჩამოწვა ე.წ. გლაციური ღვარცოფი. სტიქიურმა უბედურებამ 32 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ისტორიამ, შესაძლოა, ის აჟიოტაჟიც შემოინახოს, რაც ამ ეროვნულ ტრაგედიას ოპოზიციის მხრიდან მოჰყვა – სტიქიური უბედურების ხელისუფლებაზე გადაბრალების დაუოკებელი მცდელობა. შეგახსენებთ, რომ შარშან ასეთივე ტრაგედიები დატრიალდა ბრაზილიაში, ვენესუელაში, ეკვადორში, მექსიკაში, ჩინეთში, ავსტრალიაში, თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი (აღარაფერს ვამბობ მეზობელ თურქეთში მომხდარ დამანგრეველ მიწისძვრაზე, ასეულობით ადამიანი რომ იმსხვერპლა!), მაგრამ მათი ხელისუფლებაზე დაბრალება არავის უფიქრია. ეტყობა, ჩვენზე მზრუნველ ოპოზიციას საქართველოს ხელისუფლებაზე ერთობ აღმატებული წარმოდგენა აქვს – ღვთიური შესაძლებლობებისა ჰგონია!

* * *

დღევანდელი ხელისუფლების ისტორიულ გამარჯვებად შეიძლება ვაღიაროთ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატად მიღება. მადლობა ღმერთს, რომ რუსეთთან აბსურდულ ომში ყელამდე ჩაფლული, დანგრეულ-გაპარტახებული, კორუფციის ჭაობში მოფართხალე, სამათხოვროდ ხელგაწვდილი უკრაინისა და დსთ-ს წევრი მოლდოვასთვის ამ სტატუსით დაჯილდოების შემდეგ ჩვენი ჯერიც დადგა.

ცოტა უცნაური, მაგრამ სავსებით ლოგიკურია ნაცოპოზიციის ქმედებები – ყველა ბინძური ხერხით ბრძოლა საქართველოს გაევროპულების წინააღმდეგ სტატუსის მიღებამდე; ყველა წარმატების საკუთარ თავზე მიწერის მცდელობები სტატუსის მიღების შემდეგ!

ამ ისტორიულ გამარჯვებაში ხელისუფლების როლის დაკნინებას სულაც არ ვაპირებ. უბრალოდ, ჩემს აზრს შემოგთავაზებთ – ევროკავშირის მისადების კარი გაგვიღეს იმის გამო, რომ საქართველო არის პატარა ევრაზიული ქვეყანა; არ შეუძლია პოლიტიკური, ეკონომიკური ან სამხედრო გავლენა იქონიოს ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყნებზე; აქვს სანატრელი გეოგრაფიული მდებარეობა; არის ზომიერი, მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის გამტარებელი.

ამავე დროს, ეს გახლავთ პასუხი საგედისწერო კითხვაზე, უკვე ოცდაათ წელზე მეტია, რატომ ვერ გადალახა კანდიდატის სტატუსი და ვერ გახდა ევროკავშირის წევრი ჩვენი კეთილი მეზობელი თურქეთი: ტერიტორიის და მოსახლეობის

შარშანდელი გაისზე

ქალბატონი პრეზიდენტის იმპიჩმენტის მცდელობა გამოწვეული იყო მისი დაუფარავი ნაცურ-ოპოზიციური ქმედებებით და, შესაბამისად, ხელისუფლებასთან მწვავე დაპირისპირებით

რაოდენობის (86,1 მილიონი) მიხედვით, თურქეთი არის ევროპის უდიდესი ქვეყანა; შეუძლია პოლიტიკური, ეკონომიკური ან სამხედრო გავლენა იქონიოს ევროპავშირის წევრ სხვა ქვეყნებზე; შეუძლია „გადაყლაპოს“ ევროპის სასოფლო-სამეურნეო გაზარი; არის საკმაოდ აგრესიული საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამტარებელი...

* * *

შარშანდელი წელი იმითაც არის საინტერესო, რომ თავის ისტორიაში პირველად (და, იმედია, უკანასკნელად) პარლამენტმა პრეზიდენტის იმპიჩმენტი სცადა. ფორმალური მიზეზი ამისა, მეტი რომ არ იქნება, ისეთი ტრივიალურია – მთავრობის გადაწყვეტილებებისადმი დაუმორჩილებლობა. უფრო ზუსტად, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის საზღვარგარეთული მოგზაურობები მთავრობასთან შეუთანხმებლად.

სინამდვილეში, ქალბატონი პრეზიდენტის იმპიჩმენტის მცდელობა გამოწვეული იყო მისი დაუფარავი ნაცურ-ოპოზიციური ქმედებებით და, შესაბამისად, ხელისუფლებასთან მწვავე დაპირისპირებით. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ მთავრობა-პრეზიდენტის დაპირისპირება სხვა ქვეყნებშიც მომხდარა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, თანამდებობას საკუთარი სურვილით ტოვებს პრეზიდენტი. ასეთია ცივილიზებული სამყაროს დაუწერელი კანონი.

2023 წლის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლავთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ჩინეთის პრეზიდენტთან შეხვედრა. თავად განსაჯეთ – თითქმის მილიარდნახევრიანი, მსოფლიო ეკონომიკაში სიდიდით მეორე (აშშ-ის შემდეგ) ქვეყნის ხელისუფლება იწვევს ერთი საშუალო ჩინური სოფლის სიდიდის ქვეყნის დელეგაციას, მას განსაკუთრებული პატივით, ჩინური ტრადიციების ხაზგასმული დაცვით იღებს და თანამშრომლობას სთავაზობს.

პრემიერ ღარიბაშვილის პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ამ მართლაც ისტორიულმა ვიზიტმა ოპოზიციის მძაფრი, ცინიზმით სავსე შეფასებები დაიმსახურა. თურმე, ნუ იტყვით და, ჩინეთი ყოფილა რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის პათოლოგიური მოძულე კომუნისტური ქვეყანა. ამიტომ მასთან კი არა, უკრაინასთან უნდა ვიმეგობროთ და ამ უანგარო მეგობრობის ნიშნად რუსეთს ომი გამოვუცხადოთ!

ძვირფასო ოპოზიციავ, თქვენ საერთოდ ჯანსაღი დიპლომატიის ანა-ბანა გაგეგებათ?!

* * *

აწ უკვე ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნინო ლომჯარიას სახალხო დამცველის პოსტზე „მოღვაწეობა“, ალბათ კიდევ კარგა ხანს იქნება განსჯის საგანი. ასეთი რამ ხომ ძალიან იშვიათად ხდება – ადამიანთა უფლებების დამცველი ავტორიტეტული თანამდებობის პირი ერთ მშვენიერ დღეს ოპოზიციის მედროშედ, მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და მის კალთას ამოფარებული ცრუ პოლიტიკანების მფარველად მოგვევლინა.

კონსტიტუციური ვადის გასვლის შემდეგ, მადლიერმა საპარლამენტო ოპოზიციამ მის ადგილზე ვინმე ახალი ლომჯარიას დამტკიცება მოინდომა. ბუნებრივია, საპარლამენტო უმრავლესობა ამას არ დაეთანხმა. დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ პარლამენტმა ამ პოსტზე პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატი ლევან იოსელიანი დაამტკიცა. საბედნიეროდ, ახალი სახალხო დამცველი გაწონასწორებული, პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი, ობიექტური, საქმიანი და ყურადღებიანი ხელმძღვანელი აღმოჩნდა. იმედია, ბოლომდე ასეთად დარჩება.

* * *

გასული წელი ტრაგიკული აღმოჩნდა ე. წ. „გაერთიანებული ოპოზიციისა“ და განსაკუთრებით, ერთ დროს მრისხანე და დაუნდობელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“. ამის თაობაზე ბევრჯერ მითქვამს, მაგრამ თუ ნებას მომცემთ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ.

2003 წლის ნოემბერში სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელისუფლების სათავეში აღზევებული სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, როგორც პოლიტიკური პარტიის ისტორია ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოში დამთავრდა. დიახ, სწორედ მაშინ, როცა პრეზიდენტმა სააკაშვილმა რუსეთთან პროვოკაციული ომის სამარცხვინოდ წაგების შემდეგ საკუთარი წითელი ჰალსტუხი შეჭამა.

სააკაშვილის და მისი მანდიტური „ჩემი გუნდის“ მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება იყო ისტორიის კანონზომიერი განვითარების წინააღმდეგ მიმართული მოვლენა. რასაკვირველია, ეს ვერ მოხდებოდა გარედან ჩაურევლად, უზარმაზარი ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, ვინ იყო ქართველ „გადამტრიალებელთა“ პირველი მხარდამჭერი, ვინც ყველაზე კრიტიკულ მომენტში თბილისში გაჩნდა, შევარდნაძე გადადგომაზე დაითანხმა და საქართველოს ახალი პრეზიდენტი წარუდგინა. დიახ, ეს გახლდათ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი.

2008 წლის შემდეგ, ოთხ წელზე მეტი ხნის განმავლობაში პოლიტიკურად გაკოტრებული სააკაშვილისა და მისი „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლების სათავეში დარჩენაც, საქართველოთი დაინტერესებული „სხვების“ (უპირველეს ყოვლისა, რუსეთისა და აშშ-ის), დამსახურება უნდა იყოს.

მიზეზი ამისა ძალიან უბრალოა – ჩვენს დიდ „მეგობარ“ ქვეყნებს არ სჭირდებოდათ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიმღები „პატარა“ მეგობარი. პატარა საქართველო უნდა ყოფილიყო ვაჭრობის საგანი დიდების ხელში.

ასეთი მიდგომები გაგრძელდა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე. თავად ის ფაქტიც, რომ ნაცმოძრაობა დღემდე არსებობს, ისევ ამ „მეგობრების“ დამსახურება უნდა იყოს – სააკაშვილმა და ზოგმა სხვა ბობოლა ნაცმა იციან ზოგიერთი ისეთი საიდუმლო, რომლის გამჟღავნება დააზიანებს, ზოგადად, „დიდების“ და, კერძოდ, ჯერ კიდევ ავტორიტეტული ზოგიერთი პოლიტიკოსის საერთაშორისო რეპუტაციას. ამიტომ, ვფიქრობ, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან უნდა

პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო გავლენების თვალსაზრისით, ჩინეთი დედამიწაზე მეორე ძალაა და ათიოდე წელიწადში, ალბათ, პირველობის რეალური პრეტენზიას ექნება.

არსებობდეს უსიტყვო შეთანხმება, ნაცების პოლიტიკური დაკონსერვებისა და გრილ სარდაფში შენახვის თაობაზე.

* * *

დღეს ვითარება აბსოლუტურად განსხვავებულია. რუსეთის კონტროლი დანარჩენ ცივილიზებულ სამყაროზე შესუსტებულია. პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო გავლენების თვალსაზრისით, ჩინეთი დედამიწაზე მეორე ძალაა და ათიოდე წელიწადში, ალბათ, პირველობის რეალური პრეტენზიაც ექნება. დღევანდელ კაცობრიობას სჭირდება სწორედ ისეთი საქართველო, რომლისკენაც მივდიოდართ - გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიმღები, ეკონომიკურად ძლიერი და პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი.

ასეთ საქართველოში ნაცმოძრაობისთანა პოლიტიკური ძალის არსებობა ნონსენსია. მათ რიგებში სრული ქაოსი და უპროგნოზო თამაშობებიც ამის დასტურია. სააკაშვილის სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოწოდებები, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის და ისტორიული ავტორიტეტების ლანძღვა-გინება, პარიკაჭურული ფიგურების გაფეტიშება, ნაცმედიიდან, ძირითადად „პანდორას ყუთებიდან“ გუგაზ სანიკიძის, მიშა მშვილდაძის და გიორგი თარგამაძის გრძნეული პოლიტიკური ჟღურტული, გვარამიას პოლიტიკაში დაგრუნება, კეზერაშვილის ფული, ხაზარაძის ფორდ-მუსტანგი, ხაგეს ახალი კალტო და თაკოს რუსთაველის პროსპექტზე თუნდაც ულეიგოდ წამოკოტრიალება ვეღარაფერს უშველის...

ნაცმოძრაობის ისტორია ფორმარულადაც კი დამთავრებულია. შესაბამისად, აუცილებელი და გარდუვალია პოლიტიკურ არენაზე ახალი, კონსტრუქციული, დამოუკიდებელი ოპოზიციური ძალის გამოჩენა. თუმცა, ამისთვის დროა საჭირო – რაც მალე, მით უკეთესი.

იმის თქმა მინდოდა, რომ საქართველო ახალი ცხოვრების დასაწყისში დგას. შარშან წლის გოლოს გიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში კიდევ ერთხელ გამოჩენაც ამას უნდა უკავშირდებოდეს – ეკლიანი გზებიდან გადალახვა და დასახულ მიზანთან უდანაკარგოდ მისვლა ხომ მისი სტიქიაა.

თეიმურაზ ქორიძე

26. 01. 2024

შალვა პაპუაშვილი:

ეს უკვე თვალში ნაცრის შეყრაა, ეს უკვე კინოც აღარ არის, სერიალია...

ეს უკვე კინოც აღარ არის, სერიალია, ქართველი საზოგადოებისთვის მუდმივი თვალში ნაცრის შეყრა, თითქოს „ნაციონალურ მოძრაობას“ რაღაც ფლანგები გამოეყო და ცალკე არიან, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა ნიკა გვარამიას განცხადების კომენტირებისას აღნიშნა.

„ბოლო ასეთი მაგალითია გიორგი ვაშაძე, რომელიც „მკაცრი რიტორიკით“ გვიმტკიცებდა, თითქოს მათი ოპონენტი იყო. სინამდვილეში, საბოლოო ჯამში, ეს ერთი ორგანიზმია“, – განუცხადა შალვა პაპუაშვილმა საქართველოს პირველ არხს.

ამასთან, შალვა პაპუაშვილის განცხადებით, მნიშვნელობა არა აქვს, ფორმალურად სად იქნებიან ის ადამიანები, რომლებსაც იგივე ფილოსოფია აქვთ, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“.

„პრობლემა თავად ამ ფრაგმენტებშიცაა, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ არის არა მხოლოდ პოლიტიკური გაერთიანება, არამედ გარკვეული ფილოსოფია – ეს არის ფილოსოფია ძალადობის, ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ წასვლის, სხვა ქვეყნების თუ ინტერესების მსახურების. ამ ფილოსოფიის ადამიანები ფორმალურად სად იქნებიან, მნიშვნელობა არა აქვს. ზოგადად, ისინი საფრთხე არიან ქართული დემოკრატიისთვის“, – აღნიშნა შალვა პაპუაშვილმა.

იაგო ხვიჩია:

ვფიქრობ, გვარამია მალე მიხვდება, რომ მისი სტრატეგია მცდარია!

გვარამია უგუნური ადამიანი არ მგონია, ვფიქრობ, მალე მიხვდება, რომ მისი სტრატეგია მცდარია.

ხვიჩიას თქმით, **გვარამია სხვა სტრატეგიას თუ აირჩევს, წარმატებული იქნება. „პირიქით, გვარამიამ უნდა თქვას, რომ ნაღდი „ნაცია“ – ყველაზე „ნაცი“ ვარ, ვინც „ნაცებში“ არიან, ისინი „ნაცები“ არ არიან და როგორც ჭეშმარიტმა „ნაცმა“, არ დავტოვე ოპოზიციური ბრძოლა და წავედი სხვა ფორმატებში, სადაც ნამდვილი ოპოზიციური ბრძოლა უნდა გავაჩაღოო. გვარამიას სტრატეგია უნდა იყოს – „ნაცები“ გაქოცდნენ, მიშა ტყვეა და ნაღდი „ნაცი“ ვარო. თუ ამას აირჩევს, წარმატებული იქნება“...**

თაკო ჩარკვიანი:

ანაბრებით შექმნილი ხაზარაძის „შპს“ ცალკე პრობლემაა

„ტვ ეთერით ვისმენ ხაზარაძის ცოდვილობით და წვალებით „გაპრავების“ მცდელობას (ეროვნული ბანკის პოლიტიკის ბრალია მაღალი პროცენტებით), ჰოდა, საღამოს 18:00 საათის შემდეგ ბანკიდან რომ 4 მილიონი შავი ფული გადის და შეხვედრას ესწრებიან გახარია, დასავლეთის მიერ რუსეთის აგენტობაში მხილებული ფარცხალაძე და ხაზარაძე, აი, ეს ვისი ბრალია, ესეც ეროვნული ბანკის? სამშენებლო სესხით ლომბარდებთან რომ არიან შეკრულები, ესეც ეროვნული ბანკის ბრალია? ამხილე მაშინ, შე კაი კაცო, მუდმივ მაშველ რგოლად რომ იყავი ყველა ხელისუფლების დროს და, მით უფრო, ივანიშვილისთვის საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტურის წინ რომ შემოაგდეს ხაზარაძე, აი, მაშინ, ბილბორდებზე მთელი „ქართული ოცნება“ რომ იყო გამოჭიმული.

ხაზარაძემ სატელევიზიო ინტერვიუში თქვა: „2017 წელს უკვე მივხვდი მიძინა ივანიშვილის მიზნებს, როცა მითხრა პირად საუბარში, „რა უნდათ ამერიკელებს შავ ზღვაშიო?“ ჰოდა, თუ მიხვდა ხაზარაძე მიძინას რუსულ მიზნებს, მაშინ 2018 წელს ისევ მაშველ რგოლად რატომ მოევლინა ოლიგარქ ივანიშვილს?

პ.ს. 90-იანების ანაბრებით შექმნილი ხაზარახის მიზნეს „შპს“ – ეს ცალკე ყურადღების თემაა და ჩვენი ქვეყნის ტრაგიკომედიაა. წინ, საქართველოვ, რა, წინ, შენ გენაცვალე! უნდა ამოვიდეს ეს ქვეყანა როგორმე ამ 30-წლიანი მოჯადოებული წრიდან, ამ მუსტანგზე ამხედრებული „სიაფანდების“ შექმნილი წუმპიდან!“

მკითხველი აღშფოთებულია!

TAV Georgia

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში არსებული ვითარების გამო „აქცენტს“ არაერთი მგზავრი დაუკავშირდა და აღნიშნული საკითხით დაინტერესება სთხოვა. მათი განცხადებით, აეროპორტი მოუწესრიგებელია, რაც ქვეყნის იმიჯს აზარალებს.

„ტავ-ჯორჯია“ ძალიან ცუდად მართავს თბილისის აეროპორტს!

„რატომ არ ინტერესდება შესაგამისი უწყება, თუ რა ხდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტში?! ტურისტი რომ ჩამოდის, ჩვენს ქვეყანაზე პირველ შთაგეჯდილებას ხომ აეროპორტში იქმნის? მოუწესრიგებელი აეროპორტი ინვევს განცდას, რომ ქვეყანაც ასეთივე მოუწესრიგებელია“, – უყვება **„აქცენტს“ მედო,** რომელმაც იტალიიდან თბილისამდე იმგზავრა.

„ქვეყნის ცენტრალური აეროპორტისთვის შეუსაგამოდ პატარა მოსაცდელი სივრცეა, გარდა იმისა, რომ ლაუნჯის სივრცეებია პატარა, საკვების ასორტიმენტი კი– მწირი. ეს ყველაფერი შეუსაგამოგაშია ევროპული ქვეყნების ლაუნჯებთან“, – უყვება **„აქცენტს“ ანი,** რომელიც ხშირად მოგზაურობს და ნამყოფია სხვადახვა ქვეყნების აეროპორტებში.

ჩვენი კიდევ ერთი თანამოსაუბრე – ზურა თბილისის აეროპორტს არა ევროპულ, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნების აეროპორტებს ადარებს.

„ჩვენზე ნაკლებ განვითარებული ქვეყნებიდან რომ ჩამოვდივარ, ვინც ჩვენზე გვერდად უპანია, თუნდაც ტურისტების მომსახურების სფეროში, მეუფლება შეგრძნება, რომ ისინი გვერდად წინ არიან და ისინი კი არ ჩამოგვრჩებიან, აქეთ ჩამოვრჩებით. ტურისტებს ვაჩვენებთ ქვეყნის არარეალურ სახეს, როდესაც ყველაფერი მოუწესრიგებელია აეროპორტში და რჩება შთაგეჯდილება, რომ ჩვენ გვერდად უპან ვართ, ვიდრე რეალურად უპან მყოფი ქვეყნები“, – გვიყვება **ზურა.**

კაკი, რომელმაც ესპანეთიდან თბილისამდე იმგზავრა, ყვება, რომ საპირფარეშოში შესვლა ვერ შეძლო, რადგან წარმოუდგენლად მოუწესრიგებელი იყო.

„როგორც ჩანს, აეროპორტის მმართველ „ტავ-ჯორჯიას“ აღარ ადარდებს მისი მოვლა-პატრონობა და არც ქვეყნის იმიჯი... მაგრამ ხომ არის უწყება, რომელმაც ხელშეკრულება გაუფორმა ამ კომპანიას, სავარაუდოდ – ეკონომიკის სამინისტრო და იმ ხელშეკრულებაში ხომ იქნება პუნქტები, რომელიც კომპანიას ხარისხის დაცვას ავალდებულებს? რატომ არ ითხოვენ პასუხს?!“ – აცხადებს **კაკი.**

ჩვენი კიდევ ერთი თანამოსაუბრე, ლევანი, რომელმაც თბილისიდან იტალიამდე და საპირისპირო მიმართულებით იმგზავრა, ამბობს, რომ მაქვს განცდა, თითქოს აეროპორტში არსებული მდგომარეობა ქვეყნის იმიჯის წინააღმდეგ მიმართული საბოტაჟია კომპანია „ტავ-ჯორჯიას“ მხრიდან“.

„ყველაფერს რომ თავი დავანებოთ – აეროპორტის გასასვლელიდან პარკინგამდე მისასვლელ უვიწროეს გილიკს, რიგებს, ტაქსების მოუწესრიგებელ სადგომს, რა გახდა მოწესრიგებული საპირფარეშო?! აეროპორტი ხომ ქვეყნის სავიზიტო გარათია! თბილისის აეროპორტში საპირფარეშოში შესული ტურისტს ხვდება ანტისანიტარია. საშინელი სუნი, შეიძლება, ქაღალდიც არ დაგხვდეთ. ხელის საშრობი აპარატის გამართულად მუშაობას ვინღა ჩივის. სად არ ვყოფილვარ, მოვლილი მაქვს მსოფლიო და აეროპორტებში ყველგან მოწესრიგებულია საპირფარეშოები“, – ამბობს **ლევანი.**

ეკონომისტ **ოთო აგესაძის** განცხადებით, „ტავ-ჯორჯიას“ მომსახურების პაკეტში ნაგულისხმევია ასევე სარეალიზაციო ბილეთის ფასი, რომელიც თბილისის აეროპორტიდან არის ძვირი. შესაბამისად „ტავ-ჯორჯიას“ მოსაკრებლიდან გამომდინარე ადამიანებს უძვირდებათ მგზავრობა და ეს თავისთავად ნეგატიური მოვლენაა. გარდა ფასნამატისა „ტავ-ჯორჯია“ ვერ იღებს თავის თავზე იმ ვალდებულებას რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ტურისტული, ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის, ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის“.

„აეროპორტი, ეს არის ერთგვარი კარიბჭე და შენი ქვეყნის სავიზიტო ბარათი. „ტავ-ჯორჯიას“ აქვს ვალდებულება, რომ აეროპორტი განვითარდეს, გაფართოვდეს, გეითები დაემატოს და მოეწყოს, მათ შორის საპარკინგე ზონა და ა.შ, რათა იყოს მაქსიმალურად მორგებული ისე, როგორც ეს ტურისტულ ქვეყნებს შეეფერებათ. ამ ეტაპზე ვიღებთ იმ შედეგს, რომ „ტავ-ჯორჯია“ ვერ ასრულებს თავის ნაკისრ ვალდებულებას. აქვე ძალიან უცნაურია, ჯერ კიდევ თავის დროზე, როდესაც აშენდა თბილისის საერთაშრისო აეროპორტი, ის კაბალური ხელშეკრულება, რომელიც დაიდო თავის დროზე „ტავ-ჯორჯიასთან“, სრული ექსკლუზივები მიენიჭა მას და ასევე, მისი გაგრძელებაც როგორ მოხდა. ერთგვარ ექსკლუზივს ფლობს ეს კომპანია თბილისის საერთაშორისო აეროპორტში და ამ ექსკლუზივის ფარგლებში არ მოაქვს არანაირი ჯეროვნად ნაკისრი ვალდებულება“, - აცხადებს ეკონომისტი.

მისივე თქმით, გამოსავალი აქ არის ის, რომ ან უნდა შემოვიდეს ქვეყანაში მსხვილი საერთაშორიო კონცერნი, რომელიც რეალურად მართავს და იცის საერთაშორისიო ავიაგადაზიდვებისა და ავიაპლატფორმის რესურსი ან ამაზე პასუხისმგებლობა აიღოს ქართულმა კვალიფიციურმა გუნდა.

ქვეყნის იმიჯის საწინააღმდეგო საბოტაჟი: მგზავრები თბილისის აეროპორტში არსებულ სამარცხვინო ვითარებაზე მიუთითებენ

კომპანია **Travel To Georgia**-ს დირექტორი **ლაშა გერეკაშვილი** თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ერთ-ერთ ნაკლად დაბალი სიხშირის ფრენებს ასახელებს.

„თბილისის აეროპორტის ერთ-ერთი მინუსი დაბალი სიხშირის ფრენებია, ახალი მიმართულებების არ ქონა და ის, რომ ამ მიმართულებით წლებია, არაფერი იცვლება. ქუთაისში ერთმა ავია-კომპანიამ შეძლო ის, რაც ვერ შეძლო 30 წელია თბილისის აეროპორტმა, მისი არსებობის მანძილზე“, – აცხადებს **გერეკაშვილი.**

მისივე თქმით, „ფრენების სიხშირის გაზრდა მისცემდა შესაძლებლობას თბილისის აეროპორტს გაეწია კონკურენცია რეგიონის აეროპორტებისთვის, მიახლოებული ყოფილიყო კონკურენციის კუთხით სტამბოლის აეროპორტთან“.

„იმიტომ რომ, ჩვენ ვართ რეგიონალური ჰაბი, ჩინეთიდან ევროპის უკიდურეს წერტილამდე საჰაერო ზოლში. ამ საჰაერო სივრცის, ლოჯისტიკის გამოყენება ბევრად უფრო ეფექტურად არის შესაძლებელი. ფრენების სიხშირის გაზრდა განავითარებდა ტურიზმს, ასევე მიზნესს თბილისსა და ზოგადად რეგიონში. ქუთაისის აეროპორტიდან თითქმის 40 ქალაქშია პირდაპირი ფრენები, თბილისიდან ევროპის მიმართულების უმეტესობა არის გადაჯდომით, ეს დიდი დისკომფორტია ტურისტებისთვის. მგონია, რომ ამ მიმართულებით, როგორც „ტავ-ჯორჯიამ“, ისე სახელმწიფომ, მათ შორის ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფმა ტურიზმის სააგენტომ უნდა იმუშაონ, რომ თბილისში გაიზარდოს ევროპისა და აზიის მიმართულებით პირდაპირი ფრენების რაოდენობა. ასევე, როგორც დაგვპირდნენ, დაემატოს პირდაპირი ფრენები ამერიკის მიმართულებით, რაც შეცვლიდა ტურიზმის გეოგრაფიას ჩვენს სასარგებლოდ, განსაკუთრებით თბილისის სასარგებლოდ.

ვიტყოდი იმას, რომ ახლა უკვე მთელი საქართველო ჩამოკიდებულია ქუთაისის აეროპორტიდან შესრულებულ პირდაპირ ფრენებსა და ტურისტებზე, თუ თბილისის აეროპორტი სიხშირეს გაზრდის, მარტო ქუთაისზე არ იქნებოდა დამოკიდებული ზემოაღნიშნული და გაცილებით მეტი ტურისტის მიღებას შეძლებდა ქვეყანა“, – აცხადებს **გერეკაშვილი.**

„ტავ-ჯორჯიას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, რომ ყველა საპირფარეშო არის სრულად გაკონტროლებული, გარემონტებული. ყველგან შეცვლილია კაფელი და ა.შ.

„ტავ ჯორჯია“ არის მმართველი ოპერატორი, რომელიც დალაგების სამუშაოებს არ ახორციელებს. დაქირავებული, დაკონტრაქტებული გვყავს ერთ-ერთი ცნობილი, კარგი რეპუტაციის მქონე დასუფთავების კომპანია, რომელიც თავის დაკისრებულ მოვალეობას ასრულებს. ამას პერიოდულად ჩვენ ვაკონტროლებთ, ძალიან დიდი მგზავრთნაკადის პირობებში შეიძლება, რაღაც დეტალი გაიპაროს, მაგრამ სულ კონტროლდება და ყველა საპირფარეშო მთელს აეროპორტში არის გარემონტებული. მგზავრთნაკადი როდესაც არის პიკური შესაძლოა, რაღაც მომენტში დროულად ვერ შედის დამლაგებელი“, – აცხადებენ **კომპანიაში.**

კითხვაზე, თუ რომელი უწყება ახორციელებს თავის მხრივ „ტავ ჯორჯიას“ საქმიანობის მონიტორინგს, კომპანიაში აცხადებენ, რომ აღნიშნულს ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი „აეროპორტების გაერთიანება“ და „საქაერონავიგაცია“ ახორციელებენ.

ცნობისთვის: თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მმართველი კომპანია „ტავ ჯორჯიაა“ – თურქული „ტავ და ურბანის“ მიერ დაფუძნებული კომპანია, რომელიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მართვის უფლებით 2005 წელს შემოვიდა. ამჟამად მოქმედი კონტრაქტით, შპს „ტავ-ურბან საქართველო“ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ოპერირებას 2027 წლამდე განახორციელებს.

ტენდერომანია კორუფციის ბუდეა!

კომპანიამ, რომელსაც მერიამ ნერეთლის რეაბილიტაციის კონტრაქტი გაუწყვიტა, კასპის გზის 15- მილიონიანი ტენდერი მოიგო

კომპანიას, რომელსაც წერეთლის გამზირზე არასათანადოდ შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო თბილისის მერიამ კონტრაქტი დროზე ადრე გაუწყვიტა, ინფრასტრუქტურის სამინისტრომ იგოეთი-კასპი-ახალქალაქის საავტომობილო გზის დიდი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩააბარა. სწორედ შპს „ერ ტე დე“-მ გაიმარჯვა უწყების მიერ გამოცხადებულ ტენდერში და ამ კომპანიასთან გაფორმდა 18 იანვარს 14.9-მილიონიანი პროექტზე ხელშეკრულება.

კომპანიას ახალი კონტრაქტის შესასრულებლად ვადად 456 დღე აქვს განსაზღვრული. ტენდერის ტექნიკური დოკუმანტაციის თანახმად სამუშაოს შესრულების ადგილია: შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-63) იგოეთი-კასპი-ახალქალაქის საავტომობილო გზის მონაკვეთი.

შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საგარანტიო ვადა შეადგენს – 2 (ორი) წელს სამუშაოს მიღებიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა.

მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმებისა და წესების მიხედვით. თბილისის მერიამ შპს „ერ ტე დე“-ს კონტრაქტი 16 იანვარს გაუწყვიტა. შპს „ერ ტე დე“ 2013 წელსაა დაფუძნებული, დირექტორი და 100% წილის მფლობელი ლუხუმ ქართლოსიშვილია. კომპანიას 411 ტენდერში აქვს მონაწილეობა მიღებული.

tendermonitor.ge-ის მიხედვით მოგებული ტენდერების საერთო სავარაუდო ღირებულება 197 612 710 ლარია, მოგებული კონტრაქტების საერთო ღირებულება კი 168 022 125 ლარი. თავად ლუხუმ ქართლოსიშვილი კი ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს შემომწირველია. 2016 წელს მან პარტიის სასარგებლოდ 25 000 ლარი გაიღო.

აფხაზური „შავი კვირის“ მიზეზები:

დანაშაულებრივი დაუდევრობა, თუ გამიზნული ქმედება ქურდობის მისაჩქმალად?

იმას, რაც ამ დღეებში აფხაზეთში ხდება, თავისუფლად შეიძლება, ვუწოდოთ სახალხო გლოვა. გლოვა ეროვნული სამხატვრო გალერეის გამო, რომელიც, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ხელოვნების თითქმის ყველა ნიმუში, რომელიც მის ფონდებში იყო დაცული, სამუდამოდაა დაკარგული. განადგურებულია უნიკალური კოლექცია, რომელიც 90 წლის განმავლობაში გროვდებოდა. მიზეზი კი ხანძარია, რომელიც 21 იანვრის დამით სოხუმში, აფხაზეთის მხატვართა კავშირის ცენტრალური საგამოფენო დარბაზის შენობაში მოხდა და რომლის გამომწვევი მიზეზები ჯერ დასადგენია.

უმძიმესი დანაკარგი

მომხდარის სიმძიმეს მართლაც რომ ვერ გააზვიადებ. 4000 ექსპონატიდან ხომ მხოლოდ 150-მდეა გადარჩენილი და ისინიც იმდენად დაზიანდა, რომ ნაკლებ სავარაუდოა, სრულ აღდგენას დაექვემდებაროს. ამდენად, რუსი რესტავრატორების დაპირებული ვიზიტი სოხუმში მცირეს არავის აიმედებს.

დაიწვა, მათ შორის, ვარვარა გუბნოვას და ევგენი კოტლიაროვის ნამუშევრები, სხვა ცნობილი მხატვრების სოხუმის გალერეისთვის ნაჩუქარი ცალკეული ტილოები, ასევე აწ გარდაცვლილი აფხაზი მხატვრების ნაშრომები, რომლებსაც რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ფინანსური სირთულეების მიუხედავად, ყიდულობდნენ.

მაგრამ ყველაზე მტკივნეული დანაკარგი XIX საუკუნის ბოლოს – XX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი აფხაზი ფერმწერის, გრაფიკოსის, სცენოგრაფისა და სამხატვრო კრიტიკოსის ალექსანდრე შერვაშიძე-ჩაჩბას კოლექციაა. ადამიანმა, რომელსაც პირველ პროფესიონალ აფხაზ მხატვრად მიიჩნევენ, ცხოვრების უდიდესი ნაწილი მშობლიური აფხაზეთისგან შორს, უმთავრესად უკიდურეს გაჭირვებაში გაატარა, მაგრამ საკუთარი ნამუშევრები პირადად არასოდეს გაუყიდია. შერვაშიძე-ჩაჩბა 1968 წელს, ღრმა სიბერეში, მონტე-კარლოს მოხუცთა თავშესაფარში გარდაიცვალა და ნიცაში დაიკრძალა, ხოლო 1985 წელს მისი ნეშტი აფხაზეთში გადაასვენეს და მშობლიურ მიწას მიაბარეს. სიკვდილის წინ მხატვარმა მთელი დარჩენილი კოლექცია (300 ნამუშევარი) აფხაზეთს უანდერძა. შემდგომში კიდევ 60-მდე ნაშრომი სოხუმს მხატვრის ქალიშვილმა აჩუქა, ზოგიერთი აუქციონებზე იქნა შეძენილი, ნაწილი – კერძო კოლექციონერებისგან. ახლა შერვაშიძე-ჩაჩბას მთელი უნიკალური მემკვიდრეობა, რომელიც სოხუმში ინახებოდა, განადგურებულია.

„მის ტალანტს ადიდებდა პაბლო პიკასო, მას იხსენიებდა თავის მემუარებში სალვადორ დალი, მას ჩუქნიდნენ საკუთარ ნამუშევრებს ჟოან მირო და ჟორჟ რუო... მაგრამ ჩვენ – მისი თანამემამულეები როგორ მოვეპყარით დანატოვარს, რომელსაც ალექსანდრე შერვაშიძე-ჩაჩბა, უკიდურესი სიღუხჭირის მიუხედავად, რუდუნებით უნახავდა სამშობლოს? – პასუხი, სამწუხაროდ, ნათელია. სირცხვილი!“ – მომხდარის გამო აღშფოთებას ვერ მალავს აფხაზი ლინგვისტი და პოლიტიკოსი, საგარეო საქმეთა ყოფილი დეფაქტო მინისტრი ვიაჩესლავ ჩირიკბა, რომელიც 30-ზე მეტი წლის განმავლობაში აგროვებდა უცხოეთის აუქციონებსა და ანტიკვარის მაღაზიებში მასალებს მხატვრის მიოგრაფიის დასაწერად, რათა შემდეგ იგი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების პირად კოლექციასთან ერთად ალექსანდრე შერვაშიძე-ჩაჩბას მომავალი სახლ-მუზეუმისთვის გადაეცა.

ერთადერთ სანუგეშო ფაქტად ის შეიძლება, ჩაითვალოს, რომ მხატვრის ნამუშევრების ნაწილი, რომელიც მთელი ეს წლები სათუთად ინახებოდა თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, კვლავინდებურად საიმედოდაა დაცული და ხელუხლებელი. ამჟამად მუზეუმის ფონდებში ინახება შერვაშიძე-ჩაჩბას ათამდე ფერწერული ტილო და 370-ზე მეტი გრაფიკული ნამუშევარი, ასევე უცხოელი მხატვრების გრავიურების, თეატრალური აფიშებისა და საგამოფენო რეკლამების, თეატრალური დადგმების სასცენო გათვლების (სცენების აღწერა და ზომები დეკორაციებისათვის) შერვაშიძე-ჩაჩბას მიერ შეგროვებული კოლექცია.

თბილისის რეაქცია

„საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა“ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მწუხარებას გამოთქვამს სოხუმის სამხატვრო გალერეაში 21 იანვარს მომხდარის გამო და გამოთქვამს მზადყოფნას, აფხაზ სპეციალისტებს დაზიანებული ექსპონატების რესტავრაციაში დაეხმაროს. ამ მიზნით იგი მზადაა, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის რესტავრატორებისგან სპეციალური ჯგუფი შექმნას.

საქართველოს მთავრობა, მათ შორის კულტურის სამინისტრო სოხუმში მომხდარს ამ დრომდე არ გამოხმაურებია. გამონაკლისად იქცა პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც მომხდარს „ყველა ჩვენგანისთვის ტრაგედია“ უწოდა, „როგორც დე ფაქტო ხელმძღვანელობის, ისე რუსი ოკუპანტების მხრიდან კულტურული იდენტობის უგულებელყოფის პირდაპირ შედეგად“ შეაფასა და მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას, „აღადგინოს ყურადღება ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე“.

მსოფლიო თანამეგობრობის რეაქცია

მალევე გაისმა გამოხმაურებები დასავლეთის ქვეყნების რიგი წარმომადგენლების მხრიდან.

„ყველაფერი, რაც შეხებაშია რუსეთსა და „რუსულ სამყაროსთან), ფერფლად იქცევა, – აფხაზეთი იქნება ეს, დონბასი თუ სხვა ოკუპირებული ტერიტორიები. მსგავსი კულტურული მემკვიდრეობის დაკარგვა უდიდესი ტრაგედიაა. ეს არის პირდაპირი შედეგი ოკუპაციისთვის დამახასიათებელი დაუდევრობისა და არაკომპეტენტურობისა“ – დაწერა, მაგალითად, ევროდეპუტატმა ვიოლა ფონ კრამონმა.

21 იანვარს სოხუმში დატრიალებულ ტრაგედიას გამოეხმაურა მსოფლიო მედიაც.

„შავი კვირის“ მიზეზები

თავად აფხაზეთში ჯერჯერობით უმთავრესად დანაშაულებრივი დაუდევრობის ვერსიისკენ იხრებიან.

„პრეზიდენტმა“ ასლან ბუანიამ მომხდარის უმოკლეს ვადებში გამოძიების მრძანება გასცა.

საქმე იმაშია, რომ კულტურის სფეროს წარმომადგენლები წლობით ამახვილებდნენ ყურადღებას გალერეის მძიმე მდგომარეობასა და ექსპონატების ახალ შენობაში გადატანის აუცილებლობაზე. გალერეას ხომ საკუთარი ფართი არ გააჩნდა და სოხუმის ცენტრალური საგამოფენო დარბაზის ორ ოთახში იყო განთავსებული. აღსანიშნავია, რომ გალერეისთვის ახალი ადგილი ჯერ კიდევ 1990-იანი წლების ბოლოს გამოიყო, თუმცა დაუფინანსებლობის მიზეზით ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ექსპონატების ახალ ადგილზე გადასატანად არაფერი გაკეთებულა – და ხელოვნების უნიკალური ნიმუშები კვლავინდებურად საგამოფენო დარბაზში რჩებოდა.

ოფიციალური წინასწარი ვერსიის თანახმად, 21 იანვარს აალების მიზეზი მოძველებულ ელექტროგაყვანილობაში მომხდარი მოკლე ჩართვა იყო. თუმცა აფხაზეთში არიან ისეთებიც, ვინც თვლის, რომ ხანძარი ექსპონატების სავარაუდო ქურდობის მისაჩქმალად განხორციელებული გამიზნული ქმედების შედეგს წარმოადგენდა.

რა ელის გადარჩენილ ექსპონატებს

ამ დროისთვის ყველა გადარჩენილი ნამუშევარი აფხაზური თეატრის საწყობშია გადატანილი.

სამომავლოდ იგეგმება მათი განთავსება სოხუმის ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში, სადაც სარესტავრაციო სამუშაოები უნდა ჩატარდეს.

რაჟდენ ძაბაია

სოხუმის სამხატვრო გალერეაში შერვაშიძე-ჩაჩბას დაახლოებით სამასი ნამუშევარი ინახებოდა

ხანძრის შედეგად დაზიანებული შერვაშიძე-ჩაჩბას ნამუშევრები

რის გაკეთებას აპირებს ტრამპი არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში?!

„აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი დონალდ ტრამპი გამარჯვების შემთხვევაში, მექსიკის საზღვარზე კედლის მშენებლობის დასრულებისა და საზღვრის დახურვის პირობას დებს“, – ამის შესახებ ტრამპმა ლოს-ანჯელესში წინასაარჩევნო კამპანიისას განაცხადა. მისი თქმით, გაპრეზიდენტების შემთხვევაში ის დაეხმარება ტეხასის შტატსაც, სადაც დამატებით რესურსებს განათავსებს.

„ტეხასს სრული მხარდაჭერა ექნება. მე განვათავსებ ყველა აუცილებელ სამხედრო და სამართალდამცავ რესურსს, რათა დავლუქოთ საზღვრის ბოლო სექცია. როგორც იცით, ჩვენ ავაგეთ 500 მილზე მეტი სიგრძის კედელი. თუმცა რასაც ისინი აკეთებენ, წარმოუდგენელია. ვერავინ ხსნის, რატომ არის ეს ღია ჭრილობა კარგი ჩვენი ქვეყნისთვის, თუნდაც, პოლიტიკურად.

ლათინო ამერიკელთა ხმების წყალობით, ჩვენ დემოკრატიულ პარტიაზე მევრად უკეთესი მდგომარეობა გაქვს. ეს კარგია ჩვენთვის, თუმცა ვაპირებთ, დავლუქოთ საზღვარი, დავასრულოთ ის. წარმოუდგენელია, რომ ტეხასის დახმარების ნაცვლად, გავაძლიეროთ ჩვენი საზღვრის უსაფრთხოება. თაღლითი ჯო ბაიდენი იმრძვის, რომ გაანადგუროს ტეხასის სასაზღვრო უსაფრთხოება. ისინი ჭრიან მავთულებს. მათ საზღვრების გახსნა სურთ“, – განაცხადა ტრამპმა.

ევროპარლამენტის ლატვიელი წევრი ტატიანა ჟდანოკი რუსეთის აგენტია!

ჟურნალისტური გამოძიების თანახმად, ევროპარლამენტის ლატვიელი წევრი ტატიანა ჟდანოკი რუსეთის უსაფრთხოების ფედერალურ სამსახურთან, „ფეეს-ბე“-სთან თანამშრომლობდა, – ამის შესახებ დამოუკიდებელი რუსული საგამოძიებო ონლაინპორტალი The Insider-ი წერს.

პუბლიკაციის თანახმად, ჟდანოკის თანამშრომლობა რუსეთის სადაზვერვო სამსახურთან რამდენიმე ათეული წლის წინ დაიწყო და მას შემდეგ მას, სულ მცირე, ორი საკონტაქტო პირი ჰყავდა რუსულ სპეცსამსახურებში.

როგორც ესტონეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი აღნიშნავს, ჟდანოკი ევროპარლამენტის წევრის მანდატს 2004 წლიდან ფლობს და პრორუსული განცხადებებით გამოირჩევა. ის მუდმივად ამტკიცებდა, რომ ესტონეთი და ლატვია რუსულ უმცირესობას დევნიან და აკრიტიკებდა ჯარისკაცის ბრინჯაოს მონუმენტის გადატანის გადაწყვეტილებას.

როგორც The Insider-ი წერს, ჟდანოკის ორი საკონტაქტო პირი „ფე-ეს-ბე“-ს დაზვერვის ოფიცერი იყო. მათგან ერთ-ერთის სახელი დმიტრი გლადეია, რომელთანაც თანამშრომლობა 2004 წელს დაიწყო და 2013 წელს დასრულდა, როდესაც დეპუტატმა სერგეი ბელტიუკოვთან დაიწყო საუბარი. ტატიანა ჟდანოკი აცხადებს, რომ ის ათასობით ადამიანს შეხვედრია და არ ახსოვს პიროვნება გვარად ბელტიუკოვი. თუმცა ერუ შტთშვუკ-ი აღნიშნავს, რომ ამის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ რუსული სპეცსამსახურის თანამშრომელი ფსევდონიმად სერგეი კრასინის სახელს იყენებდა. ამასთან, ევროპარლამენტარი აღიარებს, რომ გლადეის 1970-იანი წლებიდან იცნობს. თუმცა, მისი თქმით, მან არ იცოდა, რომ გლადეი დაზვერვის ოფიცერი იყო.

უჯაიმო

საქართველოს ტელევიზიის პირველ არხს, მოფერებით საზოგადოებრივ მაუწყებელს რომ ეძახიან, ერთი ყოველდღიური სპორტული გადაცემა აქვს: „ტაიმაუტი“. ხანდახან კიდევაც ვუყურებ ხოლმე, მაგრამ ეს გადაცემა – 23 იანვრისა, არ მინახავს. კოლეგამ დამირეკა, ნახე ერთი გოლო სიუჟეტი, ისიამოვნე ამისი ინფორმირებულობით, მგონი მართლა კრიშტიანუ რონალდუს მეტი არც არაფერი იცის და არც არაფერი აინტერესებსო! გადაცემის ავტორსა და წამყვანზე გიორგი თვალაგეიშვილზე მეუბნებოდა.

გია თვალაგეიშვილი ოდესღაც ჩემთან მუშაობდა, „ახალ ქართულ გაზეთში“, ბიძინა ბარათაშვილის სპორტულ ჟურნალისტთა გუნდის წევრი იყო და საკმაოდ დაკვირვებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მერეც – უკვე „ლელოში“ სულ საინტერესო ინფორმაციის მოძიებაში იყო, ციფრები, ფაქტები, გვარები, შედეგები... ასე რომ, აქამდე სწორედ ინფორმირებულობა მეგონა მისი ყველაზე ძლიერი მხარე.

ჰოდა, ავიღე და ვნახე 23 იანვრის ბოლო სიუჟეტი. მაგრამ სიამოვნებისა, რა მოგახსენოთ! წამყვანმა ანონსშივე გვითხრა, რომ მის თანაწამყვან ქეთი ხატიაშვილთან ერთად, ისინი იწყებენ ახალ რუბრიკას, რომელიც ოლიმპიადას შეეხება. მათ შორის გაგვაცნობენ იმ საინტერესო ამბებსაც, რომელთა შესახებ, როგორც გვითხრეს, შეიძლება ჯერ კიდევ არავინ არაფერი იცის.

აი, ერთი ასეთი ამბის დასაწყისი:

„უკვე 100 წელზე მეტია, ისტორიკოსები ცდილობენ გაიგონ, ვინ იყო 8 წლის ნიდერლანდების ნაკრების წევრი ნიჩბოსნობაში, ვისაც ოლიმპიური ოქროს მედალი გადასცეს, მაგრამ მისი ვინაობა უცნობია. სინამდვილეში ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონი არც სკაი ბრაუნი გახლავთ და არც იაპონელი კოკონა ჰირაკი. ოლიმპიური თამაშების ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი არის 8 წლის ფრანგი ბიჭი. მანამდე ეს რეკორდი პირველ ოლიმპიური თამაშებზე საბერძნეთში დაფიქსირდა. სპორტულმა ტანმოვარჯიშემ, ბიჭმა, გუნდურ ჩათვლაში მიიღო მონაწილეობა ოლიმპიური თამაშებზე 10 წლის და 218 დღის ასაკში. ეს არის მანამდე, 8 წლის ბიჭუნამდე, ვინც გახდა ოქროს მედალოსანი... და ახლა 1900 წლის ოლიმპიადას ვუბრუნდები“...

სანამ წამყვანი 1900 წლის ოლიმპიადას დაუბრუნდება, რამდენიმე შენიშვნას მოვახსენებ:

„ვინ იყო, ვისაც ოლიმპიური ოქროს მედალი გადასცესო“ – ამბობს წამყვანი. არ არის სწორი – არავითარი მედლები, მათ შორის არც ოქროსი 1900 წლის ოლიმპიადაზე ნიჩბოსნებისთვის არ გადაუციათ, თუმცა ამაზე ყურადღების გამახვილება არ ღირს – ეს შეიძლება სიტყვის მასალად, პირობითად არის ნათქვამი.

მით უმეტეს, რომ ეს არ არის ჩემი მთავარი სათქმელი.

მერე კი წამყვანი ისე საგულდაგულოდ ამტკიცებს, რომ ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონი არც სკაი ბრაუნი გახლავთ და არც იაპონელი კოკონა ჰირაკი, თითქოს ვიღაცა ამტკიცებს, რომ სწორედ ესენი არიან ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონები! არავინ იცის, საიდან მოიტანეს ან რაში დასჭირდათ „ტაიმაუტში“ ეს იაპონელი გოგონები, თითქოს დღედაღამ ქართველი ტელემაყურებელი მათ ხსენებაში იყოს. ამ ორი გოგონას ოლიმპიურ ასაკს რაც შეეხება, დაე, საბოლოოდ „ტაიმაუტმა“ დაადგინოს, რაკი ორივე 2020 წლის ოლიმპიადაზე გამოდიოდა, რომელიც სინამდვილეში 2021 წელს გაიმართა, მე კი ვიტყვი, რომ რაც გინდ პატარები იყვნენ, ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიურ ჩემპიონებად მათ არავინ არსად არ თვლის, რადგან არც ერთია ოლიმპიური ჩემპიონი და არც მეორე! სკაი ბრაუნი (იგივე სუკაი ბურაუნი), ბრიტანეთის ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიელი მედალისტია (და არა ჩემპიონი), რომელმაც სკეიტბორდში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა ტოკიოს ოლიმპიადაზე 13 წლისა და 28 დღის ასაკში. და არც კოკონა ჰირაკია ოლიმპიური ჩემპიონი, – მან იმავე დისციპლინაში იმავე დღეს მხოლოდ ვერცხლის მედალი მოიპოვა და 13 წლისა 22 დღის მერეღა გახდა. ის ყველაზე ახალგაზრდა იაპონელი ოლიმპიელია, მეტი არაფერი!

დამეთანხმებითო ალბათ, – მიმართავს ხოლმე წამყვანი მაყურებელს.

არა, ვერ დაგეთანხმებით.

მაგრამ არც ეს არ არის ჩემი მთავარი სათქმელი.

წამყვანი იქვე ეხება „სპორტულ ტანმოვარჯიშეს, ბიჭს“, რომელიც პირველ ოლიმპიური თამაშებზე გამოსულა, ჩემპიონი გამხდარა და რომლის სახელი და გვარი, რაც აქ გაცილებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე იაპონელი გოგონებისა, „ტაიმაუტს“, ეტყობა, არ ახსოვს, ან არც არასოდეს სცოდნია. თუმცა ზუსტად ახსოვს, იმ ტანმოვარჯიშე ბიჭის ასაკი – როცა ის ოლიმპიადაზე გამოვიდა, 10 წლისა და 218 დღისა იყო.

„ტაიმაუტს“ საიდუმლოდ ვეტყვი, რომ აქ ისინი გულისხმობენ ბერძენ დიმიტრიოს ლოუნდრასს, რომელიც სწორედ 10 წლისა და 218 დღისა იყო, როცა 1896 წელს ორძელზე გუნდურ ვარჯიშზე გამოვიდა თანაგუნდელებთან ერთად, მაგრამ იმასაც დავძენ, რომ არც დიმიტრიოს ლოუნდრასი გახლავთ ოლიმპიური ჩემპიონი – მისმა გუნდმა ოლიმპიადაზე მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა.

არა, არც ეს არის ჩემი მთავარი სათქმელი.

ხოლო, ბიჭიო, საგანგებოდ რომ განგვიმარტეს, ემანდ გოგო არ გეგონოთო, ტყუილად შიშობენ. ჩვენ ასე არ გვეგონება, რადგან, „ტაიმაუტისაგან“ განსხვავებით, კარგად ვიცით, რომ 1896 წლის ოლიმპიადაზე მხოლოდ ბიჭები და ვაჟები და მამაკაცები გამოდიოდნენ!

თუმცა ამაზე მკითხველს როგორ მოვაცდენდი, არ არის ეს ჩემი მთავარი სათქმელი.

ჰოდა, წამყვანთან ერთად ვუბრუნდებით 1900 წლის ოლიმპიადას:

„ეს ოლიმპიური თამაშები, ანუ რიგით მე-2 ოლიმპიური თამაშები, ხუთი თვის მანძილზე გრძელდებოდა – აპრილიდან აგვისტოს ჩათვლით. იმისათვის, რომ ამ ოლიმპიურ თამაშებს უფრო მეტი ადამიანი მოეზიდა და უფრო საინტერესო გამხდარიყო, პარიზმა რამდენიმე დიდი მხატვრის გამოფენა დაამთხვია ოლიმპიურ თამაშებს. არსებობს დამადასტურებელი ფოტოები, სადაც ნიდერლანდელი ნიჩბოსნები ფრანსუა და რუდოლფი არიან და ასევე 8 წლის ფრანგი ბიჭუნა“.

„ეს ოლიმპიური თამაშები, ანუ რიგით მეორე ოლიმპიური თამაშები, ხუთი თვის მანძილზე გრძელდებოდა – აპრილიდან აგვისტოს ჩათვლითო“ – გვეუბნებიან.

აქ რომ ეკითხა, – დამეთანხმებით ალბათო, რა თქმა უნდა, ვეტყოდი, – არა, ვერ დაგეთანხმებით, რადგან მეორე ოლიმპიური თამაშები 14 მაისიდან 28 ოქტომბრამდე გრძელდებოდა.

მაგრამ ეს არ არის ჩემი მთავარი სათქმელი.

„იმისათვის რომ ამ ოლიმპიურ თამაშებს უფრო მეტი ადამიანი მოეზიდა და უფრო საინტერესო გამხდარიყო, პარიზმა რამდენიმე დიდი მხატვრის გამოფენა დაამთხვია ოლიმპიურ თამაშებს“.

ვერც ამაში დავეთანხმები წამყვანსა თუ თანაწამყვანს. კი, მეორე ოლიმპიადასთან დაკავშირებით ადამიანი ქსელში აუცილებლად გადააწყდება რაგინდარა ენაზე სიტყვას „გამოფენა“, მაგრამ ეს არაფრით არის დაკავშირებული „რამდენიმე დიდი მხატვრის გამოფენასთან“, რამდენიც არ უნდა იყვნენ ეს მხატვრები და რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს რომელიმე მათგანი.

„ტაიმაუტს“ მინდა ვუთხრა, და იქნებ მომავალში გამოადგეს, რომ 1900 წლის ოლიმპიური თამაშები პარიზში მიმდინარე მსოფლიო გამოფენის ფარგლებში ჩატარდა და სწორედ ამის გამო მოხდა მისი ესოდენი გაწელვა დროში და ამან გამოიწვია მისი რამდენადმე ქაოსური ხასიათი.

ეს რომ სპორტული გადაცემა არ იყოს, სულაც არ ამოვიღებდი ხმას, მაგრამ სპორტულ გადაცემას ამ მხრივ დიახაც მეტი მოეთხოვება.

მაგრამ ეს არ არის-მეთქი ჩემი მთავარი სათქმელი.

ფოტოებისა რა მოგახსენოთ და, იმ ამბისა ერთადერთი ფოტო არსებობს და ამ ფოტოდან დაიწყო ყველაფერი ჰოლანდიელმა მკვლევარმა ტონი ბიიკერკმა. ამ ფოტოებზე იმ უცნობი ბიჭის გარდა ორი ნიდერლანდელი ნიჩბოსანია აღბეჭდილი. ერთი გვარად ბრანდტია და მეორე – კლაინი. ხოლო ფრანსუა და რულოფ (და არა რუდოლფ!) მათი სახელებია. მაგრამ „ტაიმაუტში“ მათ, ბუნებრივია, შინაურული სახელებით მოიხსენიებენ, ფამილარულად, როგორც, მაგალითად, კრიშტიანუს.

თუმცა არც ეს არის ჩემი მთავარი სათქმელი.

ხოლო ეკიპაჟის მესამე წევრი, რომელიც „ძალიან მძიმე“ ყოფილა, სინამდვილეში სულ 60-კილოგრამიანი დრ. ჰერმანუს გერარდუს ბროკმანი გახლდათ. შეიძლება „ტაიმაუტში“ მისი გვარი დაავიწყდათ ან სულაც არ ჩაუთვლიათ მოძებნის ღირსად, მაგრამ როგორც წამყვანი მის ფუნქციას გვიხსნის, მისი თანაწამყვანი და პროგრამის ხელმძღვანელი რომ ვიყო, აუცილებლად გავუსწორებდი:

ხომ შეიძლება თანაწამყვანს შეახსენო, რომელიც შეიძლება შენსავით ძლიერი არ არის სპორტის ყველა სახეობაში, რომ „მესამე მათი გუნდის წევრი, რომელიც აი, წინ ზის და მიმართულებას აძლევს და რითმს უთვლის და კარნახობს ნიჩბოსნებს“ – სინამდვილეში მას „მესაჭე“ ჰქვია?!

ოღონდ ისიც უნდა უთხრა, – რითმს არა, რიტმს! უკარნახებს და არა კარნახობს!

კი, წვრილმანია, მაგრამ არავინ თქვას, რომ „ტაიმაუტში“ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ინტერესო ამბავს მოგიყვებით, რომლის შესახებ არავინ არაფერი იცისო!

მაგრამ, აკი მოგახსენებთ, ჩემი მთავარი სათქმელი ეს როდია. არც მკითხველს მოვაცდენდი ამ თუ სხვა მსხვილმან თუ წვრილმან შენიშვნებზე. მე სხვა რამ მაქვს სათქმელი – „ტაიმაუტმა“ რომ არაფერი იცის, სწორედ იმაზე.

„უცნობი ფრანგი ბიჭუნა“ თანამედროვე ოლიმპიადების ისტორიის ყველაზე ძველ, ყველაზე იდუმალ და ყველაზე დამაინტრიგებელ გამოცანად ითვლებოდა. თავიდან ფიქრობდნენ, რომ იგი 8-10 წლისა იყო, მაგრამ ამ საკითხის ყველაზე თავდადებულმა და ავტორიტეტულმა მკვლევარმა, ამ ფოტოს აღმომჩენმა ჰოლანდიელმა ტონი ბიიკერკმა ივარაუდა, რომ ბიჭუნა უფრო 12 წლისა უნდა ყოფილიყო.

სწორედ 12 წლისა იყო გიორგი ნიკოლაძე, როცა მამამისმა იგი პარიზში ჩაიყვანა. ეს სწორედ ის პერიოდია, როცა სენაზე ნიჩბოსანთა 1900 წლის ოლიმპიური რეგატა გაიმართა.

ამბავი კი ასეთია: 1900 წლის თამაშებზე ჰოლანდიელთა ორკაციანი ეკიპაჟის წევრებს ფრანსუა ბრანდტს და რულოფ კლაინს ემძიმათ თავიანთი მესაჭე, 60-კილოგრამიანი ჰერმანუს ბროკმანი, რომელსაც დაბრალეს კიდეც ნახევარფინალის წაგება და ფინალურ რეგატაში მისი გამოცვლა გადაწყვიტეს. ზედ ფინალის წინ, დაინახეს რა, რომ ფრანგ ნიჩბოსნებს მესაჭეებად ფაქტობრივად ბავშვები ჰყავდათ, ჰოლანდიელებმა ბროკმანის ნაცვლად თავადაც პატარა ბიჭუნა აიყვანეს მესაჭედ. არავინ იცის, ვინ იყო ის და საიდან გაჩნდა ჰოლანდიელთა ნავში. ამბობენ, თითქოს ბიჭუნა ადგილობრივი კლუბის წევრი იყო. ყოველ შემთხვევაში, მის პარიზელობაში თუ ფრანგობაში რატომღაც ეჭვი არავის შეუტანია.

არადა, რაც ბრანდტისა და კლაინის მიერ მესაჭედ „ფრანგი“ თუ „პარიზელი“ ბიჭუნას რეკრუტირების ამბავი გავიგე, მუდამ მიკვირდა, როგორ გარისკეს ჰოლანდიელებმა ფრანგულ ეკიპაჟებთან საბრძოლველად ფრანგი ბიჭუნას აყვანა მესაჭედ.

ჩემი ვერსია, რომ „უცნობი ფრანგი ბიჭუნა“ შეიძლება გიორგი ნიკოლაძე ყოფილიყო, ეფუძნება გიორგი ნიკოლაძის დის, პროფესორ რუსუდან ნიკოლაძის სიტყვებსაც, რომელთა თანახმად გიორგის პატარაობისას ნავებით შეჯიბრება მოუგია პარიზში. მართლაც, „უცნობი ფრანგი ბიჭუნას“ როლს კარგად ერგება გიორგი ნიკოლაძე, რაკი (1) 12 წლისა იგი პარიზში სწორედ 1900 წელს ოლიმ-



გიორგი ნიკოლაძე დებთან ერთად (ექს-ლე-ბენი, 1901) და „უცნობი ფრანგი ბიჭუნა“ რულოფ კლაინთან ერთად (პარიზი, 1900).

ᲐᲣᲪᲘᲡᲐ!



„ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲑᲘᲭᲣᲜᲐ“ ᲤᲠᲐᲜᲡᲣᲐ ᲑᲠᲐᲜᲓᲢᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ (ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 1900) ᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐ ᲜᲘᲙᲝ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘ (ᲤᲝᲗᲘ, 1900–1901).

პიადის პერიოდში ჩაიყვანა მამამისმა მთელ თავის ოჯახთან ერთად, რაკი (2) მან შესანიშნავად იცოდა ფრანგული, რაკი (3) ფოთში გაზრდილი ბიჭი ნავთან თუ ნიჩბებთანაც საკმაოდ გაშინაურებული იყო, და, რაც მთავარია, რაკი (4) ის მეორე ოლიმპიადა სულაც არ იყო ისე მკაცრად რეგლამენტირებული სპორტული ასპარეზობა, რომ შემთხვევითი მონაწილე იქ ვერ მოხვედრილიყო.

ვწერდი კიდეც: „ბიჭუნა პატარა კი იყო, მაგრამ განა პატარა ბიჭუნებს არა აქვთ ეროვნული სიამაყის გრძნობა და პატრიოტული აზარტი? არა აქვთ კი არა, შეიძლება ეს ყველაფერი 10-12 წლის ბიჭუნებში მეტიც იყოს, ვიდრე დიდებში, რომელთაც შეიძლება სხვა მოტივები ამოძრავებდეთ. არა მგონია, 10-12 წლის ფრანგი ბიჭუნა უცხოელებს ფრანგების დამარცხებაში მიხმარებოდა! თუ ეს ბიჭუნა მართლა ფრანგი იყო, მართლა იცნობდნენ მას ფრანგი ნიჩბოსნები და, როგორც ზოგიერთი მკვლევარი წერს, მხოლოდ მისი წონის გამო დაიწუნეს, მგონია, რომ მას მერე, რაც იგი ჰოლანდიელებს ჩაუჯდა ნავში და ფინალშიც გაამარჯვებინა, არავინ შეაქებდა, მადლობას არავინ ეტყოდა და მისი სახელი მხოლოდ იმის გამოც შემორჩებოდა ისტორიას, რომ ფრანგები – თუნდაც მისი თანატოლები – მოღალატედ შერაცხავდნენ“.

ეს გახლავთ ციტატა ჩემი ბროშურიდან „უცნობი ფრანგი ბიჭუნა – გიორგი ნიკოლაძე“, რომელიც 2015 წელს გამოსცა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ ქართულ და ინგლისურ ენებზე და რომელშიც დაწვრილებით არის მოთხრობილი ჩემი ვერსიის შესახებ. მანამდე ჩემი გამოკვლევა სამჯერ დაიბეჭდა ჯერ ჟურნალ „ოლიმპიელში“ (№36, 2013, გვ.გვ. 71-78), მერე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (8 თებერვალი, 2014, გვ. გვ. 6-7) და უფრო მერე ჩემს ოლიმპიურ ხუთტომეულში „ხუთი რგოლი საქართველოსთვის“ (თბილისი, 2014, ტ. 2, გვ.გვ. 99-112).

მერე ამ ვერსიით ოლიმპიურ ისტორიკოსთა საერთაშორისო ასოციაცია დაინტერესდა და ჩემი გამოკვლევა ასოციაციის ოფიციალურ ჟურნალში დაბეჭდა ინგლისურ ენაზე: „Was the ’unknown French Boy’ in 1900 actually from Georgia?“ (Journal of Olympic History, volume 24, number 3, 2016, გვ. გვ. 20-26). იმავე წელს საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა ჩემი ეს გამოკვლევა თარგმნა, ცალკე ბროშურად ამობეჭდა და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის სესიას წარუდგინა.

ამის მერე უცნობი ფრანგი ბიჭუნასა და გიორგი ნიკოლაძის იგივეობის ამბავი სხვადასხვა კუთხითა და სხვადასხვა ახალი არგუმენტაციით კიდევ რამდენჯერ დაიბეჭდა კვლავ ჟურნალ „ოლიმპიელში“: „ტონი ბიიკერკის გამოსათხოვარი“ (№43, 2017), „უცნობი ფრანგი ბიჭუნა აღარ არის ფრანგი“ (№44, 2018), „ძველი ფოტო ახალი წარწერით“, „ჩვენი ოლიმპიური ისტორია 1900 წლიდან უნდა დაიწყოს“ (ჟურნალი „ოლიმპიელი“ №45, 2019).

მერე ამ ყველაფერს მთელი თავი – თითქმის 100 გვერდი დაეთმო ჩემს ორტომეულში „ცხოვრება გიორგი ნიკოლაძისა“ (საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია, გამომცემლობა „პეტიტი“, თბილისი, 2021, 2022, ტ. I, გვ. გვ. 98-190). ამ წიგნის ორივე ტომი სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ ცალცალკე აღნიშნა ნოდარ გუგუშვილის პრემიით, ხოლო ნიკოლაძეთა საზოგადოებამ სახელმწიფო პრემიაზე წარადგინა. ახლა მიმდინარეობს საუბარი, რომ ჩემი გამოკვლევის საფუძველზე შეიქმნას დოკუმენტური ფილმი გიორგი ნიკოლაძისა და უცნობი ბიჭუნას იგივეობის თაობაზე. მალე „არტანუჯი“ გამოსცემს ჩემს წიგნს „გიორგი ნიკოლაძის ფენომენი“, სადაც ეს ყველაფერი მოკლედ იქნება მოთხრობილი სპორტში შედარებით ნაკლებად ჩახედული მკითხველისათვის.

„ტაიმაუტის“ წამყვანი ახსენებს „ნიდერლანდელ ერთ-ერთ ისტორიკოსს“, რომელმაც აღმოაჩინა ეს ფოტო, თუმცა მისი გვარი, რა თქმა უნდა, არ ახსოვს. თუ არ დაიზარებენ „ტაიმაუტის“ წამყვანები, შეუძლიათ ნახონ ჩემი ორტომეულის მეორე ტომში, რომ ეს ისტორიკოსი ტონი ბიიკერკი გახლავთ და ჩემს ნაშრომში მასთან ჩემს მიმოწერასაც შეუძლიათ გაეცნონ, სადაც ბევრ საინტერესო ამბებს გაიგებენ, „არავინ რომ არაფერი იცის“, იმ საკითხზე.

სხვაც ბევრი წყარო დავასახელე. რომელიმეს გაეცნონ, ერთი მათგანიც კი საკმარისი იქნება „ტაიმაუტში“ ამ თემაზე სიუჟეტის სწორად მოსამზადებლად.

ამასობაში საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა 2019 წლის 8 თებერვალს აღმასკომის საგანგებო სხდომაზე მოისმინა ჩემი მოხსენება „უცნობი ფრანგი ბიჭუნას“ შესახებ, ყოველგვარი დისკუსიის გარეშე სარწმუნოდ მიიჩნია ვერსია „უცნობი მესაჭისა“ და გიორგი ნიკოლაძის იგივეობის შესახებ და გადაწყვიტა, ამის შესახებ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ჩაეყენებინა საქმის კურსში და ვერსიის ამა თუ იმ ფორმით გახმოვანება ეთხოვა. სეოკის პრეზიდენტის ლერი ხაბელოვის წერილს მალე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის თომას ბახის საპასუხო წერილი მოჰყვა, სადაც იგი წერდა:

„ჩემმა გუნდმა დამიდასტურა, რომ დოქტორ ნაცვლიშვილის მიერ ჩატარებული მნიშვნელოვანი გამოკვლევა კარგად არის ცნობილი და დოკუმენტირებული ოლიმპიურ კვლევათა ცენტრში. იმისათვის, რომ ამ გამოკვლევას კვლავაც მიეზღოს თავისი, სიამოვნებით გაცნობებთ, რომ ამიერიდან ეს ნაშრომი გამოქვეყნებულია მსოფლიო ოლიმპიურ მიბლიოთეკაში და იგი ხელმისაწვდომი იქნება ფართო საზოგადოებისათვის.“

მოკლედ, ჩემი ნაშრომი მსოფლიო ოლიმპიურ მიბლიოთეკაშიც არის გამოქვეყნებული. ერთი სიტყვით, თუ სადმე შეიძლებოდა ყველგან ყველაფერი დაიბეჭდა და გამოქვეყნდა, ერთი ეგ არის, რომ ნეაპოლურ პრესაში ვერ მოხერხდა ჩემი გამოკვლევის ამა თუ იმ ფორმით ციტირება. ამადაც გამორჩა ალბათ „ტაიმაუტს“.

ალბათ დამეთანხმებით, – იტყოდა აქ „ტაიმაუტის“ ერთ-ერთი წამყვანი.

დათანხმებით კი ალბათ მეორე თუ პირველი წამყვანი დაეთანხმებოდა, რომელიც, ვიმეორებ, ოდესღაც მე ერთ-ერთი ყველაზე ინფორმირებული სპორტული ჟურნალისტი მეგონა.

23 იანვრის გადაცემაში ალექსანდრ ზვერევის ამბავს გია თვალაბეიშვილი ასეთი რეპლიკით აფასებს:

კარგია ეს თუ ცუდი, ვერ ვხვდები.

ეს რეპლიკა მომდევნო სიუჟეტსაც მოუხდება. თუმცა აქ მისახვედრი არაფერია:

ცუდია, გია, ცუდი! ძალიან ცუდი!

გიორგი თვალაბეიშვილი რა შუაშიაო, ვინმემ შეიძლება იკითხოს. მგონია, რომ სწორედ ის არის შუაში. თუ მაინცდამაინც, შენ სხვა აზრზე ხარ, სათამადო სკამზე რომ ზიხარ მორჭმით, რას უდასტურებ და რას ეთანხმები, თუ რამეს უნებურად არასწორად ამბობს შენი თანაწამყვანი?! ან ეთერში გასვლის წინ რომ დაგეკარგა ცოტა მეტი დრო (ტაიმ) და მეტი ენერგია, იქნებ შენი, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის მაყურებელი ამას იმსახურებდა?

სევდიანი ისტორიაა! – ამბობს გია თვალაბეიშვილი მისთვის უცნობ ბიჭუნაზე.

დიახ, მართლაც სევდიანი ამბავია. ოღონდ არა მხოლოდ იმ ბიჭუნასი!

მაგრამ არც ეს სევდიანი ამბავია ჩემი მთავარი სათქმელი!

შენ „ტაიმაუტი“ რომ ხარ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოველდღიური სპორტული გადაცემა, შენ რომ ამ გადაცემის წამყვანი და ხელმძღვანელი ხარ, შეიძლება ამ ყველაფერს სულაც არ ეთანხმებოდე, ჩათვალო, რომ უცნობი ბიჭუნა პირველი მსოფლიო ომის ქარ-ცეცხლმა შეიწირა, შეიძლება შენი აზრი არ ემთხვეოდეს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის ან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის აზრს, მაგრამ როცა ოლიმპიური ისტორიის ერთი მთავარი საიდუმლოს შესწავლაზე, და მის კვლევა-ძიებაზე შენს კოლეგას, შენს თანამემამულეს მრავალი წელი აქვს დახარჯული და ამდენი პუბლიკაცია მიძღვნილი, ის მაინც თქვი, რომ ამ თემას არსად იმდენი დრო და გამოხმაურება არ დათმობია, რამდენიც ჩვენში.

გია, აბა, ერთი წუთით ჩემს ადგილას წარმოიდგინე შენი თავი! ახლაც არ მჯერა, რომ ეს ყველაფერი შენ – ერთ-ერთმა ყველაზე თვალსაჩინო სპორტულმა ჟურნალისტმა აქამდე არ იცოდი.

მაგრამ საქმე ის არის, რომ არც ეს არის ჩემი მთავარი სათქმელი.

ჩემი მთავარი სათქმელი შეიძლება უფრო ჩემს შიშთან იყოს დაკავშირებული, საზოგადო შიშთან.

ძალიან არ მინდა, რომ სხვა დროს, მორიგი წმენდის დროს, პირველი არხიდან ამა თუ იმ მიზეზით მოხსნილ გადაცემებს შორის ვინმემ „ტაიმაუტიც“ მოახვედროს! ხომ შეიძლება რომელიმე ხელმძღვანელმა ან რომელიმე ზემდგომმა ერთ მშვენიერ დღეს მარტივად და უაპელაციოდ თქვას:

„ტაიმაუტ“ აუტ!

არა და არ მინდა, ასეთი რამ თუნდაც თეორიულად წარმოვიდგინო. ყველაფრის მიუხედავად, მე „ტაიმაუტს“ და მის წამყვანებს, მის ავტორებს და მაყურებლებს დიდ წარმატებებს ვუსურვებ. ოლიმპიადის წელიწადია და მეც მისი გეჯითი მაყურებელი ვიქნები.



ᲞᲐᲐᲢᲐ ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ᲠᲩᲔᲣᲚᲘ

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲣᲙᲕᲔ 12-ᲘᲐ!

„ᲚᲔᲜᲝᲕᲝ ᲢᲔᲜᲔᲠᲘᲤᲔᲡ“ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲘ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲚᲘ�გᲐ ᲔᲜᲓᲔᲡᲐᲨᲘ ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ.

2024 წლის პირველ თვეში ქართველი ცენტრის საშუალო მარგი ქმედების კოეფიციენტი 24.3 გამოდგა, რითაც MVP-ის ტიტული მოიპოვა, კარიერაში მე-12-ედ, რაც რეკორდია.

გიორგიმ იანვარში 4 მატჩი ჩაატარა, საიდანაც „ტენერიფემ“ 3 მოიგო, ხოლო ერთხელ დამარცხდა. „მურსიასთან“ ქართველის მონაგარი 13 ქულა და 10 მოხსნა იყო (20 მარგი ქმედების კოეფიციენტი), „ბარსელონასთან“ თავის გუნდს 22 ქულა და 8 მოხსნა შესძინა (23), „მონბუსთან“ 13 ქულა, 7 მოხსნა და 2 პასი (22), ხოლო საუკეთესო თამაში „უუვენტუტთან“ ჰქონდა – 21 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი და 32 მარგი ქმედების კოეფიციენტი

შედეგად, იანვარში საშუალოდ მისმა მონაგარმა 17 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი და 24.3 მარგი ქმედების კოეფიციენტი შეადგინა.

შეგახსენებთ, რომ ლიგა ენდესაში თვის MVP-ს ჯილდო ყველაზე მეტჯერ გიორგი შერმადინს აქვს მიღებული (12) და მან ამჯერად თავისივე რეკორდი გაუმჯობესა. მეორე პოზიციაზე ტანოკა ბერდია (10).

◎ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲘ

ᲑᲝᲠᲓᲝᲡ ᲛᲡᲮᲜᲔᲚᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲚᲘᲒᲐ 2-ᲘᲡ 22-Ე ᲢᲣᲠᲨᲘ „ᲑᲝᲠᲓᲝᲛ“ „ᲐᲜᲟᲔᲠᲘ“ ᲖᲣᲠᲘᲐᲠᲝ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲝᲚᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ 1:0.

ქართველმა ფეხბურთელმა 89-ე წუთამდე ითამაშა, ხოლო მეტოქის კარი 70-ე წუთზე დალაშქრა და 3 ქულის მომტანი ბურთი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ „ანჟერი“ ამ ტურამდე ლიდერი იყო და ჟირონდელებთან უმნიშვნელოვანესი ქულები დაკარგა.

ქართველ ფეხბურთელს მიმდინარე სეზონში 21 მატჩში 2 გოლი და 3 საგოლე პასი აქვს აქტივში. „ბორდო“ 28 ქულით მე-13 ადგილზეა და მომდევნო ტურში 3 თებერვალს, „ტრუას“ უმასპინძლებს.

◎ ᲙᲝᲠᲢᲖᲔ

ᲛᲔ-5 ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ

ᲘᲐᲜᲘᲙ ᲡᲘᲜᲔᲠᲛᲐ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲓᲐᲜᲘᲘᲚ ᲛᲔᲓᲕᲔᲓᲔᲕᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲘ�გᲝ!

ნახევარფინალში მედვედევმა ალექსანდრ ზვერევს 0:2-დან აჯობა, მაგრამ ამჯერად ბედისწერით ყველაფერი პირიქით მოხდა: 2:0-დან წააგო.

საწყის ორ სეტში რუსი ჩოგბურთელი უკეთ გამოიყურებოდა, სინერი ნერვიულობდა და ბევრ შეცდომასაც უშვებდა. შედეგად, მედვედევი 6:3, 6:3 მოგებული სეტებით დაწინაურდა და ჩემპიონობასთან ძალიან ახლოს მივიდა. თუმცა, ეს მაქსიმუმი გამოდგა.

ამის შემდეგ კორტზე სახეცვლილი სინერი ვიხილეთ, რომელიც უფრო კონცენტრირებული და ზუსტი იყო. მესამე-მეოთხე სეტებს აბსოლუტურად იდენტური სცენარი ჰქონდა. 9 გეიმის განმავლობაში ორივე ჩოგბურთელი თავიანთ ჩაწოდებებზე უშეცდომო იყვნენ, მაგრამ მე-10 გეიმში სინერმა ორივე სეტში ბრეიკი გაახერხა და ერთნაირად მოიგო – 6:4, 6:4.

ამრიგად, გადამწყვეტი მეხუთე სეტი დაინიშნა, რომელშიც სინერს ასევე ერთი ბრეიკი ეყო სეტის მოსაგებად, შესაბამისად საჩემპიონოდ – 3:6, 3:6, 6:4, 6:4, 6:3.

ფინალური შეხვედრა 3 საათსა და 46 წუთს გაგრძელდა. სინერს 14 ეისი და 5 ორმაგი შეცდომა ჰქონდა, ხოლო მედვედევს 11 ეისი და 3 ორმაგი შეცდომა. იანიკ სინერმა კარიერაში პირველად არათუ ავსტრალიის ღია პირველობა, არამედ დიდი სლემის ტურნირი მოიგო. ზოგადად, სინერი მე-5 იტალიელია, რომელმაც დიდი სლემის ტურნირი მოიგო ნიკოლა პიეტრანჯელის, ადრიანო პანატას, ფრანჩესკა სკიავონესა და ფლავია პენეტას შემდეგ.

ქალთა ტურნირი ზედიზედ მეორედ მოიგო ბელარუსმა არინა საბალენკამ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲡᲘᲞ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲙᲝᲞᲘᲜᲒᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ -

ᲨᲞᲡ „ᲮᲐᲠᲮᲔᲡ“ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ (ᲢᲧᲕᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲐᲙᲣᲛᲣᲚᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ) ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡ, ᲛᲔᲝᲠᲐᲓᲘ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲚᲘᲗᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲚᲣᲐᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: სახიფათო ნარჩენების (ტყვიის შემცველი აკუმულატორები) წინასწარი დამუშავება და აღდგენა, მეორადი ნედლეულიდან ფერადი ლითონების საწარმოს მშენებლობა და ექსპლუატაცია

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ხარხე“

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარტყოფი

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 15 თებერვალი, 15:00 საათი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფის მეორე საჯარო სკოლის შენობა

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის დასკვნის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 19 თებერვლის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **2024 წლის 22 იანვარს,** საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა განცხადება სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სააგენტო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომლითაც განისაზღვრება გზშ ანგარიშის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲡᲘᲞ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲒᲖᲨ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ -

ᲡᲡ „ᲗᲑᲘᲚᲞᲝᲚᲘᲛᲔᲠᲘᲡ“ ᲛᲘᲔᲠ Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲞᲝᲚᲘᲔᲗᲘᲚᲔᲜᲘᲡ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲮᲐᲖᲘᲡ (ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ) ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲚᲣᲐᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავება

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: სს „თბილპოლიმერი“

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: თბილისი, სამგორის რაიონი

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 6 მარტი, 12:00 საათი, სამგორის რაიონის გამგეობის შენობა (მის: მოსკოვის გამზ. №14)

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ გზშ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 26 მარტის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 12-ე მუხლის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან განცხადება დარეგისტრირდა **2024 წლის 22 იანვარს.** აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სააგენტო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ, ხოლო ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრმა თეა ხამხაძემ, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე სარჩელის საჯაროდ გავრცელების საკითხი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲐᲠᲑᲘᲢᲠᲐᲟᲝ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲐᲠᲑᲘᲢᲠᲐᲟᲘ

Დ Ა Დ Გ Ე Ნ Ი Ლ Ე Ბ Ა

ᲐᲠᲑᲘᲢᲠᲐᲟᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲛᲔ №01-595/2023

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ **29 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 2024 ᲬᲚᲘ**

ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲠᲙᲕᲘᲐ:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატას საარბიტრაჟო სარჩელით მომართა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ შპს „ლარსის მარცვლეულის ტერმინალის“ მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ.

სარჩელისა და მასზე თანდართული მასალების ასლები, ასევე არბიტრაჟის უწყება და არბიტრაჟის დებულება, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართზე გაეგზავნათ მოპასუხეს, მოპასუხე ორგანიზაციის დირექტორს და მოპასუხე ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორებს, მაგრამ მისამართზე არყოფნის და მისამართის შეცვლის გამო საფოსტო გზავნილები ადრესატებს ვერ ჩაბარდათ.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-17 მუხლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

არბიტრაჟს მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეს, ასევე მოპასუხე ორგანიზაციის დირექტორს და მოპასუხე ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორებს არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართებზე გაგზავნილი სარჩელი და თანდართული მასალები ვერ ჩაბარდათ და ამასთან მათი სხვა ადგილსამყოფელის შესახებ არბიტრაჟისათვის უცნობია, მოპასუხეს სარჩელის და თანდართული მასალების თაობაზე უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინებით.

ᲡᲐᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-17 მუხლებით და

ᲓᲐᲕᲐᲓᲒᲘᲜᲔ:

1. მოპასუხე შპს „ლარსის მარცვლეულის ტერმინალს“ საქართველოს საარბიტრაჟო პალატა წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის წარმოებაშია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელი შპს „ლარსის მარცვლეულის ტერმინალის“ მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ.

ᲡᲐᲡᲐᲠᲩᲔᲚᲝ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის საფუძველზე შპს „ლარსის მარცვლეულის ტერმინალს“ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სასარგებლოდ დაეკისროს 898262.58 ლარის, საარბიტრაჟო მოსაკრებელის 19149.22 ლარის და საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლების საფასურის 13 ლარის გადახდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301 მუხლის საფუძველზე დადგინდეს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის, მდებარე ყაზბეგის რ-ნი, სოფელი აჩხოტი (ს/კ 74.02.13.088) რეალიზაცია.

იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციით სრულად არ დაკმაყოფილდება ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მოთხოვნა, სამოქალაქო კოდექსის 301 მუხლის 1^1 ნაწილის და გენერალური ხელშეკრულების 6.3-6.4 პუნქტების თანახმად დადგინდეს, რომ: აღსრულება მიექცეს მოპასუხის კუთვნილ ნებისმიერ ქონებაზე. ამასთან, არ არის საეჭვდებულო, რომ ბანკმა, პირველ რიგში, იძულებითი აღსრულება დაიწყოს უზრუნველყოფის საგნებიდან. ბანკი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, იძულებითი აღსრულება პირველ რიგში მიაქციოს შპს „ლარსის მარცვლეულის ტერმინალის“ კუთვნილ სხვა ქონებაზე.

2. საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 26-ე მუხლის თანახმად მოპასუხეს უფლება აქვს 7 დღის ვადაში საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედ არბიტრაჟში წარმოადგინოთ წერილობითი შესაგებელი საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე ან შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) მხარეთა სახელწოდებები;

ბ) მისამართები (ადგილსამყოფელი);

გ) გარემოებები და მტკიცებულებები, რითაც შეიძლება დადასტურდეს შესაგებელში (შეგებებულ სარჩელში) მითითებული მოთხოვნები და გარემოებები;

დ) შესაგებელზე (შეგებებულ სარჩელზე) თანდართული საბუთების ნუსხა.

3. შპს „ლარსის მარცვლეულის ტერმინალს“ ეცნობოს, რომ საქმის განხილვა დანიშნულია 2024 წლის 22 თებერვალს, 16:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქ. 40, სართული 11.

4. შპს „ლარსის მარცვლეულის ტერმინალს“ განემარტოს, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

5. შპს „ლარსის მარცვლეულის ტერმინალს“ ეცნობოს, რომ საქმეს განიხილავს საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრი თეა ხამხაძე, ქეთევან დუმბაძის მდივნობით. მასვე განემარტოს, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-4 მუხლის თანახმად უფლება აქვს გზავნილის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წერილობით მომართოს არბიტრაჟს საქმის განმხილველი არბიტრის ან მდივნის აცილების შესახებ, სადაც უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები.

6. შპს „ლარსის მარცვლეულის ტერმინალს“ განემარტოს, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, ასევე უწყება საქმის განხილვის შესახებ, მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. შპს „ლარსის მარცვლეულის ტერმინალს“ განემარტოს, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება საქმის წარმოების წესების შესახებ გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე: matsne.gov.ge/document/view/1179539?publication=0 და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის ვებგვერდზე acg.org.ge/img/debuleba.pdf

8. წინამდებარე დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“.

9. დადგენილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

გამოთხოვება

ლეილა მესხი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა მხცოვანი, ამაგდარი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლეილა ლევანის ასული მესხი.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა თხემით ტერფამდე ეროვნული სულიერებით დამუხტული შემოქმედი, რომელიც მთელი თავისი არცთუ ისე ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში რწმენითა და იმედით მიუყვებოდა მისი დიდი წინაპრების მიერ გაკვალულ იმ გზას, რომელიც ქართული სიწმინდეებით, ლეგენდებად ქცეული ქართველი რაინდების სულისშემძვრელი ნიშანსვეტებით იყო მოფენილი.

ლეილა მესხი დაიბადა 1938 წლის 5 იანვარს ხონის რაიონის სოფელ ახალბედისეულში. საშუალო სკოლა ხონში დაამთავრა და სწავლა განაგრძო მოსკოვის საარქივო ინსტიტუტში, რომელიც 1954 წელს დაასრულა.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ლეილა მესხი სხვადასხვა დროს მუშაობდა ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის უფროს მეცნიერ-მუშაკად, განყოფილების გამგედ და დირექტორის მოადგილედ; ქუთაისის ისტორიული არქივის დირექტორად; ჟურნალ „თეატრალური მოამბის“ მხატვრულ რედაქტორად; გამომცემლობა „მერანის“ რედაქტორად. სადაც არ უნდა ემუშავა ამ სათნოებით სავსე შემოქმედს, ყველგან ჭეშმარიტი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა, ყველგან სიკეთეს თესავდა.

ლეილა მესხმა ქართულ მწერლობაში 1959 წელს შეაბიჯა, როდესაც გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობები. მას შემდეგ მისი ნაწარმოებები — ნოველები, მოთხრობები, რომანები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები სისტემატურად ქვეყნდებოდა სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

დიახ, ექვს ათეულ წელზე მეტი იღვაწა სამწერლო ასპარეზზე ამ გულმართალმა შემოქმედმა, რომელსაც სრულად ჰქონდა გასიგრძეგანებული მწერლის როლი და დანიშნულება ამ ჩვენს მეტისმეტად უმკაცრეს სამყაროში, დენთით სავსე კასრს რომ დამსგავსებია და იავარქმნით ემუქრება უმშვენიერესსა და ულამაზეს ცისფერ პლანეტასს... ალბათ, ამიტომაცაა, რომ მწერლის რომანები „ფაიფურის თოჯინა“, „დუმილის დედა“, „სიზმრის ანგელოზები“, მოთხრობებისა და ნოველების კრებულები „მზე ხელისგულზე“, „ჩემი ახლობლები“, „ლანდი გაორთქლილ მინასთან“, „ბიჭს მამა ელანდებოდა“, „თავდავიწყება“, „ლტოლვა“, „ამერიკელი სიძე“, „რჩეული მოთხრობები“ სწორედ მშობელი ქვეყნის, მისი თავისთავადობის და თვითმყოფადობის გადარჩენის წყურვილითაა დამუხტული. ამ ნაწარმოებებში ერთმანეთს ორგანულად ერწყმის ცხოვრებისეული სიბრძნე და მხატვრული აზროვნების გამჭვირვალობა, თემის აქტუალობა და სიმძაფრე. მწერალი დამაჯერებლად ძერწავდა გმირთა სახეებს, ისეთი დოზით ახერხებდა მათში სულის ჩაბერვას, რომ მკითხველს სიყალბის იოტისოდენი განცდაც კი არ რჩებოდა.

ლეილა მესხმა ბოლო წლებში გამოაქვეყნა ბიოგრაფიული ნოველების კრებული „ფიქრის კრიალოსანი“ სამ წიგნად; საინტერესო ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები მიუძღვნა ქართული მწერლობის არაერთ გამოჩენილ წარმომადგენელს.

მისი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა გერმანულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე. ლეილა მესხის მრავალწლიანი ღვწა ლიტერატურულ სარბიელზე დავით აღმაშენებლის, ნიკო ლორთქიფანიძის და მარიკა ბარათაშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა. ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ ლეილა მესხი — მშვენიერი მწერალი და ბანოვანი, რომელიც მთლიანად დაიხარჯა ქართული მწერლობის სამსახურში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

როინ შავაძეს 12-მდე სპეცრაზმელი სასტიკად გაუსწორდა

თბილისის **საქალაქო სასამართლოში 2008 წლის 16 აგვისტოს თავდაცვის სამინისტროს მრიგადის სერჟანტის, როინ შავაძის უკანონო დაკავების, განზრახ მკვლელობისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაზე მრალდებული მაღალჩინოსნებისა და სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლების საქმის განხილვა მიმდინარეობდა.**

სასამართლო პროცესზე დაკითხეს მათუმში მდებარე ოქროს მირუის თანამშრომლები.

როგორც ოქროს მირუის თანამშრომელმა, ჯაბა შარაძემ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, შეიარაღებული სპეცრაზმელების გამოჩენა აგვისტოს ომის გაგრძელება ეგონა. შარაძის ჩვენებით, შავაძეს 5-10 წუთის განმავლობაში 10-12 სპეცრაზმელი ფიზიკურად სასტიკად გაუსწორდა და უგონო მდგომარეობაში ავტომანქანაში ჩასვეს. ოქროს მირუის თანამშრომლების გარდა, რომლებიც შავაძეზე თავდასხმის დეტალებზე იკითხებიან, სასამართლოს ჩვენებას მისცემენ შავაძის კოლეგები, თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები. პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს მრიგადის სერჟანტის, 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილის, როინ შავაძის უკანონო დაკავების, განზრახ მკვლელობისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნა 10 პირის მიმართ 2023 წლის 28 ივლისს დაიწყო. შავაძის უკანონო დაკავების, განზრახ მკვლელობისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების საქმეზე ათ პირს პატიმრობა 29 ივლისს შეეფარდა.

წმინდა კეთილმსახური მეფე — თამარი

31 იანვარს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მეფე თამარის ხსენებას. სულ რამდენიმე წელია, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ჩვენს ქვეყანაში თამარობა აღინიშნება 31 იანვარსაც, დღეს კი მისი მიცვალების დღეა.

1166 წელს მეფე გიორგი III-ის და მის მეუღლეს ბურდუხანს შეეძინათ ქალიშვილი — თამარი. გიორგი მეფემ თავისსავე სიცოცხლეში 12 წლის თამარი მეფედ გამოაცხადა.

...ხელისუფლების სათავეში მოსვლა თამარმა საღმრთო საქმით დაიწყო. ...ისტორიამ შემოგვინახა მევრი ამაღელვებელი ამბავი წმინდა მეფის ცხოვრებიდან. ახლა, მხოლოდ მისი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფის მიმართვას შეგახსენებთ: „ძმანო ჩემნო და შვილნო!.. აჰა, ესერა მკვიდრად სახლისა ჩემისა დაგიტევებთ, რომელნი მომცნა ღმერთმან შვილნი ჩემნი, გიორგი და რუსუდანი, ეგენი მიიხუენით ჩემ წილ და მაგათ აღმოგივსონ დაკლებული ჩემი“... შემდეგ მაცხოვრის ხატს და ცხოველმყოფელ ჯვარს შეავედრა მეფეთ მეფემ საქართველო...

დღემდე საიდუმლოებით არის მოცული თამარ მეფის საფლავის ადგილსამყოფელი. ერიც ლეგენდებით იკმაყოფილებს თავისი უდიდესი მონარქის მონატრებას და ამით გამოხატავს ოცნებით კავშირს წმიდა გვირგვინოსან მეფესთან და იმდროინდელ ძლევამოსილ საქართველოსთან.

გიული ლიპარტია

ადევნებული აღვირახსნილი მასწავლებელი

პროკურატურის ცნობით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოფლის საჯარო სკოლის პედაგოგს ადევნების ფაქტზე მრალდება წარედგინა.

როგორც უწყება წერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლიდან 2023 წლამდე პერიოდში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, საჯარო სკოლის პედაგოგი თავის კოლეგასთან არასამსახურებრივ და არასასურველ ურთიერთობას სისტემატურად ამყარებდა. კერძოდ, პროკურატურა ამბობს, რომ მრალდებული დაზარალებულს დაჟინებით სთხოვდა სქესობრივ ურთიერთობას და კატეგორიული უარის მიუხედავად, მასთან დაახლოების მცდელობებს მაინც განაგრძობდა. უწყების ცნობით, დაზარალებული იძულებული გახდა მნიშვნელოვნად შეეცვალა ცხოვრების ჩვეული წესი და სამსახურიდან ხანგრძლივ უხელფასო შვებულებაში გასვლის შესახებ გადაწყვეტილება მიეღო.

„სკოლის პედაგოგს მრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (ადევნება, რამაც დაზარალებულის ფსიქიკური ტანჯვა და ძალადობის გამოყენების შიში გამოიწვია) წარედგინა“.

პოლონეთში მკვლელობის ბრალდებით საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს

პოლონეთში, მკვლელობის მრალდებით საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს. მედიის ინფორმაციით, დანაშაული ვროცლავში მოხდა და მას წინ დაპირისპირება უძღოდა.

შაბათს 27 იანვარს, დილის 5 საათზე ქალაქის ცენტრში ერთმანეთს ახალგაზრდები დაუპირისპირდნენ, რასაც 21 წლის ადგილობრივის სიკვდილი მოჰყვა. ჯერჯერობით უცნობია კონკრეტულად რა იარაღითაა ჩადენილი მკვლელობა.

პარფიუმერიის მოსაპარავად... გერმანიაში

სუნამოების ქურდობის მრალდებით, გერმანიაში 32 წლის ქართველი რუს თანამზრახველთან ერთად დააკავეს. გერმანიაში, ჰამბურგში, პარფიუმერიის მაღაზიაში ქართველმა და რუსმა თანამზრახველებმა სუნამოები და ტანის კრემები მოიპარეს. გერმანიის პოლიციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ქურდები დაცვამ იმ დროს შეამჩნია, როცა ისინი ძვირადღირებული სუნამოებისა და ტანის კრემების დამალვას ქურთუკის შიდა ჯიბეში ცდილობდნენ.

დაცვამ დამნაშავეები ადგილზევე დააკავა და პოლიციას გადასცა. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ რუსეთის 40 წლის და საქართველოს 32 წლის მოქალაქემ 459 ევროს 4 სუნამო და 266,50 დოლარის ღირებულების 7 კრემი მოიპარეს. ჩხრეკისას ამოღებული მოპარული ნივთები პოლიციამ მაღაზიას დაუბრუნა. სამართალდამცავებმა ორივე ბრალდებული წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. მათზე სისხლის სამართლის ორი საქმე აღიძრა ერთი — ქურდობისთვის, ხოლო მეორე — გერმანაში უნებართვო ყოფნის გამო.

ცეცხლსასროლი იარაღის ტარების ბრალდებით გურამ ბერიძე დაუკავეს

მედიის ცნობით, გურამ ბერიძე ბათუმში, სასტუმრო „ლე მერიდიანის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს, სადაც ე.წ. კანონიერი ქურდების მონაწილეობით „ქურჩური გარჩევა“ გაიმართა. გურამ ბერიძეს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდეს.

როგორც გამოცემა წერს, საქმე, ბათუმის „დინამოს“ პრეზიდენტის, არჩილ ბერიძის კუთვნილი კომპანიის საქმიანობას ეხება. ორი ერთმანეთისგან და-



მოუკიდებელი წყარო „აჭარა თაიმსს“ უყვება, რომ მხარეებს შორის კონფლიქტი კომპანიის წილებს უკავშირდება. უფრო კონკრეტულად, ბერიძეს წილის დათმობასა და დიდ თანხას სთხოვენ. გამოცემას კომპანიის საკონტაქტო ტელეფონზე, დირექტორმა ქეთევან ბერიძემ კითხვებზე არ უპასუხა.

ბათუმის „დინამოს“ პრეზიდენტი, არჩილ ბერიძე შპს. „ამინი+“-ის მფლობელია. ბერიძე ასევე, „ქართული ოცნების“ შემწირველია. მან მმართველ პარტიას 20 000 ლარი შესწირა. ფაქტი შინაგან საქმეთა სამინისტროში დაადასტურეს, სადაც გამოცემას უთხრეს, რომ გამოძიება სსკ 236-ე მუხლით მიმდინარეობს.

ბანკის ძარცვისთვის დაკავებულს ორთვიანი პატიმრობა შეეფარდა

„საქართველოს ბანკის“ სენაკის ფილიალზე ყაჩაღობის ფაქტზე დაკავებულს, აღვვეთის ღონისძიების სახით, 2-თვიანი პატიმრობა შეეფარდა. გადაწყვეტილება სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ დარეჯან კვარაცხელიამ მიიღო. მოსამართლემ სრულად გაიზიარა მრალდების მხარის შუამდგომლობა და მრალდებული პატიმრობაში დატოვა.

გამოძიება ანრი ლოლუას ყაჩაღობას ედავება. შემთხვევა 23 იანვარს მოხდა. გამოძიების ვერსიით, ანრი ლოლუა სენაკში ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე, „საქართველოს ბანკის“ სერვისცენტრში შეიჭრა და მოქალაქეს ცივი იარაღის მუქარით გარკვეული თანხა წაართვა. თავად მრალდებული პროცესს ესწრებოდა, თუმცა მან დუმილის უფლება გამოიყენა და ამ ეტაპისთვის ადვოკატის მომსახურებაზეც უარი განაცხადა. მომდევნო სასამართლო სხდომა 11 მარტს ჩაინიშნა.

„პაოლო იაშვილი, ცხოვრებისა და შემოქმედების წიგნი“

„კავკასიურმა სახლმა“ ფონდ „ჰორიზონტისა“ და საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ახალი პუბლიკაცია „პაოლო იაშვილი, ცხოვრებისა და შემოქმედების წიგნი“ გამოსცა. კრებული პოეტის შემოქმედების რჩეულს, თანამედროვეთა მოგონებებს, სახელმწიფო თუ კერძო არქივებში დაცულ იშვიათ დოკუმენტებს მოიცავს.

მწერლისა და ენათმეცნიერის **ნაირა გელაშვილის** იდეით და **ნინო ხოფერიას** რედაქტორობით შედგენილი კრებულის წარდგინება მწერალთა სახლში გაიმართა.

„შავნაბადამ“ გერმანელები განაცვიფრა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერითა და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, ანსამბლმა „შავნაბადამ“ ქალაქ ბერლინში გამართული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „into the open“ სოლო კონცერტით დახურა. აღნიშნული ფესტივალის ფარგლებში კონცერტები მსოფლიო დონის მუსიკოსებმა გამართეს.

ფესტივალის ორგანიზატორების მხარდაჭერით, ანსამბლმა „შავნაბადამ“ საქართველოს ფარგლებს გარეთ კიდევ ერთხელ წარადგინა ქართულ-აფხაზური მუსიკალური კულტურა. ღონისძიების პარალელურად, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით აფხაზური კუთხე მოეწყო, სადაც მოწვეული სტუმრები ქართულ-აფხაზურ გასტრონომიულ კულტურას და ტრადიციებს გაეცნენ.

„მინდა მივულოცო ანსამბლ „შავნაბადას“ წარმატებული კონცერტი და მადლობა გადავუხადო მათ ჩვენი ქვეყნისა და კულტურის მაღალ დონეზე წარმოჩენისთვის. ორმაგად საპასუხისმგებლო იყო ის, რომ საქართველოს ისტორიული ნაწილის აფხაზეთის ოკუპაციის პირობებში, საქართველოს ფარგლებს გარეთ, ქართულ-აფხაზური ხალხური სიმღერებითა და სპეციალურად მოწყობილი აფხაზური კუთხით ფესტივალის სტუმრებს კიდევ ერთხელ გავაცანით აფხაზეთი“, – განაცხადა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა ნანა გაბელიამ.

კონცერტს ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლევან იზორია; თომას ჰაკერი – პარლამენტის წევრი, კულტურისა და მედიის კომიტეტის თავმჯდომარე და გერმანიის ბუნდესტაგის ევროკავშირის საკითხთა კომიტეტის წევრი; კარტენ ვიტი – გერმანიის წამყვანი მხატვრების სააგენტოს Karsten Witt Musik Management-ის მმართველი დირექტორი, Deutsche Grammophon-ის ყოფილი პრეზიდენტი და მოწვეული სტუმრები.

მარსზე ტბის კვალი აღმოაჩინეს

NASA-ს მარსმავალმა Perseverance მარსზე ტბის კვალი აღმოაჩინა. კალიფორნიისა და ოსლოს უნივერსიტეტების მეცნიერებმა, რომლებიც ამ თემაზე მუშაობდნენ, დაასკვნეს, რომ მარსმავალის მიერ შეგროვილი მონაცემები ადასტურებს, რომ ეზეროს კრატერში ადრე წყალი იყო.

მარსმავალი წითელ პლანეტას რადარის RIMFAX მეშვეობით იკვლევდა, რის შედეგადაც მეცნიერებმა მარსის ერთი მონაკვეთის 20 მეტრის სიღრმის ორგანზომილებიანი გამოსახულება მიიღეს. ფოტოებზე აღბეჭდილი ქანის ფენები მიუთითებს იმაზე, რომ კრატერში ადრე წყალი იყო. მეცნიერების ვარაუდით, ეს დაახლოებით 3 მილიარდი წლის წინ მოხდა. ახალი კვლევა ადასტურებს მეცნიერების ვარაუდს იმის შესახებ, რომ წარსულში მარსის ნაწილები წყლით იყო დაფარული, რომელშიც მიკრობები ბინადრობდნენ. Perseverance-ი მარსის ზედაპირზე 2021 წლის თებერვალში დაეშვა.



შვილებმა ლეგენდარული მამის ქონება ვერ გაიყვეს...



სასამართლომ ალენ დელონს ქონების განკარგვა აუკრძალა. საქმე სპეციალურმა სამეურვეო სასამართლომ განიხილა, რომელსაც მსახიობის ქალიშვილმა და ადვოკატებმა მიმართეს, – ინფორმაციას ფრანგული მედია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, დელონი არ იქნება შეზღუდული მარტივ ოპერაციებში, თუმცა დიდ გადაწყვეტილებებს, როგორიც პირადი ქონების გაყიდვა ან გასხვისებაა, ვერ მიიღებს. ოპერაციებს ჩაიბარებს სპეციალურად დანიშნული მრჩეველი, რომელსაც დელონისთვის სამედიცინო პროცედურები და ექიმების შერჩევა ეხება. მსახიობის ვაჟიშვილები თავიანთ დას ანუშკა დელონს მამაზე ზეწოლაში ადანაშაულებენ. ისინი მამის სამკურნალოდ საფრანგეთში გადაყვანას ითხოვენ, ამჟამად დელონი ქალიშვილთან ერთად შვეიცარიაში იმყოფება.

ვინ არის მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ხუთი ადამიანი?!

ფინანსურმა გამოცემა Forbes-მა მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების სია განაახლა. ილონ მასკი პირველ ადგილზე კვლავ Louis Vuitton Moet Hennessy (LVMH)-ის დამფუძნებელმა და პრეზიდენტმა, ფრანგმა ბიზნესმენმა ბერნარ არნომ ჩაანაცვლა.

არნოს ქონება 21.6 მილიარდი დოლარით გაიზარდა. დღეისთვის მისი ქონება ჯამში 205.8 მილიარდ დოლარს შეადგენს.

Tesla-სა და Space X-ის მფლობელი **ილონ მასკი** მეორე ადგილზე გადავიდა. მისი ქონება 204.2 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

ამ დროისთვის ყველაზე მდიდარი ადამიანების ხუთეული ასე გამოიყურება

ბერნარ არნო, $205.8 მილიარდი;
ილონ მასკი, $204.2 მილიარდი;
ჯეფ ბეზოსი, $179.9 მილიარდი;
ლარი ელისონი, $142.6 მილიარდი.
მარკ ზაკერბერგი, $138.8 მილიარდი.

არნომ მასკს შარშან აპრილშიც გადაასწრო, თუმცა Space X-ის დამფუძნებელმა პირველობა 2023 წლის მიწურულს დაიბრუნა.

ჩიპი – ადამიანის ტვინში...

მილიარდერმა ილონ მასკმა განაცხადა, რომ მისმა კომპანიამ Neuralink ადამიანის ტვინში უსადენო ჩიპი პირველად ჩანერგა წარმატებით. მასკმა აღნიშნა, რომ მოწყობილობის მუშაობის პირველი შედეგები იმედისმომცემია და ჩიპი ნერვულ იმპულსებს კარგად ცნობს. ჩიპი ტვინში ადამიანსა და კომპიუტერს შორის დამაკავშირებელი რგოლი უნდა იყოს და დაეხმაროს ადამიანებს, რომლებსაც ფიზიკური პრობლემები და ფსიქოლოგიური აშლილობები აქვთ.



მასკმა თავის სოციალურ ქსელში განაცხადა, რომ მისი კომპანიის ქმნილებას „ტელეპათია“ დაარქვა და პირველ რიგში მას ჩაუნერგავენ პარალიზებული კიდურებით დაავადებულ ადამიანებს.

„ეს მათ საშუალებას მისცემს მხოლოდ აზრის ძალით გამოიყენონ ტელეფონი, კომპიუტერი, მათი მეშვეობით კი პრაქტიკულად ნებისმიერი სხვა მოწყობილობა“, – განმარტა მასკმა.

ოპერაციას ტვინზე რობოტი ატარებს. ის ნერგავს ტვინში ჩიპს, რომელსაც 1024 სენსორი აქვს. ჩიპი ტვინის იმ ნაწილში ინერგება, რომელიც აკონტროლებს „მოძრაობის განხორციელების განზრახვას“. ის ტვინის სიგნალებს გარე მოწყობილობას გადასცეს, რომელიც მათ შიფრავს და „ხვდება“ რა მოძრაობის განხორციელება უნდა ადამიანს. აშშ-ის მთავრობამ მასკის კომპანიას ადამიანზე ცდების ლიცენზია გასული წლის მაისში გასცა. გეგმის მიხედვით, ტესტირება 6 წლის განმავლობაში გაგრძელდება. რამდენიმე თვის წინ ცნობილი გახდა, რომ Neuralink-ი 2024 წელს ტვინში იმპლანტების ჩასანერგად 11 ოპერაციის ჩატარებას გეგმავს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 2 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6827; ევრო - 2.9080;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4019;
100 რუბლი - 2.9846; თურქული ლირა - 0.0882;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5758;
1000 სომხური დრამი - 6.6497

ამინდი 31 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	-7,	დღე +7
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე +4
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	-5,	დღე +11
მთიანი რაიონები -	ღამე	-12,	დღე +8
თბილისი:	ღამე	-2,	დღე +7

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge